

მიმართულების კურატორს ჯგუფში ჰყავს ორი თანამშრომელი; ვებ-დეველოპმენტის მიმართულებით მუშაობს ხელმძღვანელი, მარკაპისტი, ვებდიზაინერი და ტექნიკური მუშაკი. ვებდეველოპმენტის კუთხით მათი საქმიანობა გამართული ვებგვერდის შექმნასა და მუშაობაში გამოიხატება.

კომპანია „რედ პოინტს“ აქვს ორი მიმართულება - პროდაქშენის და მარკეტინგის განყოფილება. მათში შედის: სტრატეგიული მარკეტინგი, ციფრული მარკეტინგი, ბრენდინგი, დიზაინი. სტრუქტურაში შედის: გენერალური დირექტორი, მარკეტინგისა და გაყიდვების მენეჯერი, სოციალური მედია მენეჯერი, პროდაქშენის ხელმძღვანელი, კონკრეტულ კომპანიებთან ექაუნთ მენეჯერი, რომელიც უშუალოდ პროცესის მწარმოებელია, თუმცა, ზოგ კომპანიასთან თავად დირექტორიც ერთვება პროცესში.

კომპანია „ოლ პრინტი“ შემდეგი სტრუქტურით მუშაობს: გენერალური დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, ტექნიკური დირექტორი (წარმოების მიმართულება), კრეატიული დირექტორი (დიზაინერთა ჯგუფის ხელმძღვანელი), კომერციული დირექტორი (გაყიდვების მიმართულება) და ფინანსური დირექტორი. კომპანია „ლუქ პროდაქშენს“ მსგავსი მომსახურებები გარე წარმოებაზე გააქვს, რადგან კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, ფიქსირებულ ხელფასზე მომუშავე კადრი არაპროდუქტიულია. კონკრეტულ მიმართულებაზე მომუშავე კომპანიებისაგან კი გაცილებით ხარისხიან მომსახურებას დებულობენ. კომპანია ორი სამტატო თანამშრომლისგან შედგება: დირექტორი და ვიზუალიზაციის სპეციალისტი. დანარჩენი კადრების საჭიროების შემთხვევაში ფრილანსერების მომსახურებით სარგებლობენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მარკეტინგული კომპანიების

სტრუქტურა ინდივიდუალურია. ეს გამომდინარეობს მათი საქმიანობის სპეციფიკიდან და კომპანიის მასშტაბიდან. თუმცა, ამ მიმართულებით კადრების საჭიროება, ყველა შემთხვევაში, აუცილებელია.

მარკეტინგული კომპანიების შემოსავლის წყარო მომსახურებაა, რომელსაც ისინი სთავაზობენ ბიზნესს, სახელმწიფოს და ფიზიკურ პირებს. ჩვენს კვლევაში მონაწილე კომპანიების მომსახურება მოიცავს შემდეგს:

კომპანია „შინდი“- გრაფიკული დიზაინი, ბაზრის კვლევა, მარკეტინგული სტრატეგიის შედგენა, სოციალური მედია არხების გამართვა, ვებ დეველოპმენტი, ბრენდინგი, პოლიგრაფიული მომსახურება, ფოტო და ვიდეო პროდაქშენი.

კომპანია „რედ პოინტი“- 3D ვიზუალიზაცია, ვიდეო წარმოება, 3D ვიდეო პრეზენტაციები, ბრენდბუკის შექმნა, ბექდვითი მომსახურება, გარე რეკლამა, სოციალური მედია პლატფორმების მართვა.

კომპანია „ოლ პრინტი“- სარეკლამო მომსახურება, ბანერის დიზაინის შექმნა და ბექდვა, ნივთების ბრენდირება, სუვენირები, სამოსების შექმნა, ლოგოტიპების შემუშავება და დატანა, ინტერიერის შექმნა კომპანიის საქმიანობის სფეროსა და ინტერესებიდან გამომდინარე, ბექდური რეკლამა, პროდუქციის შეფუთვა.

„ლუქ პროდაქშენი“- სტრატეგიული კვლევა, 3D ანიმაცია, სამშენებლო კომპლექსების ვიზუალიზაცია, ფოტო და ვიდეო პროდაქშენი.

თითოეული კომპანიის მომსახურების სპექტრი ფართოა, შესაბამისად ბაზარზე მათ შორის არის კონკურენცია. აღნიშნული სერვისებიდან გამომდინარე, აჭარის რეგიონი კრეატიული ინდუსტრიის განვითარების კუთხით პროგრესირებს, რადგან ხდება მომსახურების ახალი სახეების განვითარება, დანერგვა და ტექნოლოგიური სიახლეების

დამკვიდრება ამ სფეროში. ნაშრომის ერთ-ერთი მიზანია, აგრეთვე, ბაზარზე არსებული გამოცდილების შეთავაზება მკითხველისთვის, შესაბამისად, ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს რესპონდენტებს ვკითხეთ, საქმიანობის პირველ ეტაპზე რა სახის პრობლემებს წააწყდნენ.

„შინდის“ მმართველი პარტნიორის აზრით, ყველაზე დიდი პრობლემა კვალიფიციური კადრებია, ბაზარი არ იძლევა რამდენიმე პროფესიონალისგან რომელიმე ერთის არჩევის საშუალებას. მაგალითისთვის მოჰყავს გრაფიკული დიზაინერი, რომლის დეფიციტიც დღემდე აქვთ.

„რედ პრინტის“ ხელმძღვანელობისთვის პირველადი პრობლემა პოტენციური კლიენტების დარწმუნება იყო იმაში, რომ გარკვეული თანხის სანაცვლოდ შესაძლებელია მათი კომპანიის შემოსავლის, ცნობადობის და უკუგების კოეფიციენტის გაზრდა. თუმცა, რამდენიმე კლიენტის მომსახურების შემდგომ მიმზადველობით გაიზარდა მათი რაოდენობა.

„ოლ პრინტის“ დირექტორი აღიარებს, რომ ყველაზე დიდი შეცდომა მაშინ დაუშვა, როდესაც უცხოური გამოცდილება არ გაიზიარა, რადგან ფიქრობდა, რომ იქ გამოყენებული ინსტრუმენტები საქართველოში არ გამოდგებოდა. თუმცა, როდესაც კომპანია კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა, იძულებულები იყვნენ გაეთვალისწინებინათ უცხოური გამოცდილება, რამაც გაამართლა კიდევ.

„ლუქ პროდაქშენისთვის“ პრობლემას კადრების კოორდინაცია წარმოადგენდა. თუმცა, ყველა თანამშრომლის ინდივიდუალური მხარეების გამოვლენის შემდგომ მენეჯერებმა შეძლეს გუნდის გაერთიანება.

ახალბედა კომპანიებისათვის შეცდომების დაშვების რისკი მაღალია. კვლევაში მონაწილე კომპანიები დაშვებულ შეცდომებ-

ბად, რომლებსაც აღარ გაიმეორებენ, ასახელებენ შემდეგს:

- საქართველოში ბიზნესის კეთების კულტურა, სამწუხაროდ, ნაკლებად გულისხმობს მარკეტინგული ხარჯების გათვალისწინებას. ბიზნესმენებს უჭირთ თანხის გადახდა არამატერიალურ სიკეთეში, შესაბამისად, რთულია ბალანსის დაცვა გაწეული მომსახურების რეალურ ღირებულებასა და მყიდველის მიერ შემოთავაზებულ ფასს შორის. ხშირად ფინანსური საჭიროებების გამო მარკეტინგული კომპანიები მომხმარებლებს მომსახურებას შეუსაბამო (ძალიან მაღალ ან ძალიან დაბალ) ფასში სთავაზობდნენ. აღნიშნულს მიწოდებული სერვისების არაადეკვატური შეფასება მოჰყვა. ამდენად, მნიშვნელოვანია მარკეტინგულმა კომპანიამ კლიენტებს ნათლად დაანახოს, რა სიკეთე მოუტანა მას გაწეულმა მომსახურებამ;
- მარკეტინგულ კომპანიასა და კლიენტებს შორის თანამშრომლობა ხშირად მეგობრულ ურთიერთობაში გადადის, რის გამოც რიგ შემთხვევებში სერვისის მომხმარებელს მომსახურებს უსასყიდლოდ მიღების მოლოდინს უჩენს, რაც ბიზნესს აზარალებს. ხშირად მსგავსი მიდგომების გამო მარკეტინგული კომპანიები ფინანსური კრიზისის და კრედიტუნარიანობის გაუარესების წინაშე აღმოჩენილა. ამიტომაც, ბიზნესსა და მეგობრობას შორის მკაფიო ზღვარი უნდა არსებობდეს, რომელსაც ორივე მხარე დაიცავს;
- ფასზე გაცილებით მნიშვნელოვანი არის დროული და ხარისხიანი სერვისის შეთავაზება. ამ დროს მომხმარებელი უმეტეს შემთხვევაში ნაკლებ ყურადღებას აქცევს ფასს;
- დიდი ოდენობის შეკვეთების მიღება

შეუსაბამო რესურსის პირობებში უარყოფითად აისახება კომპანიის რეპუტაციაზე. სერვისის დათქმულ ვადაში მიუწოდებლობა ზრდის უკმაყოფილო მომხმარებლების რაოდენობას. ამიტომაც, კომპანიამ უნდა გაითავისოს, რომ კლიენტისათვის დრო არის ფული და შეკვეთების მიღების დროს გაითვალისწინოს საკუთარი შესაძლებლობები.

შეჯამების სახით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული მარკეტინგული კომპანიების საქმიანობის დასაწყისში გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები: განათლების სიმწირე, კვალიფიციური კადრების დეფიციტი, ბიზნესის კულტურის დაბალი დონე, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია.

კონკურენტების არსებობა კომპანიას ეხმარება განვითარებაში, ახალი ტექნოლოგიების ათვისებაში, წინსვლაში, თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც არაკეთილსინდისიერება და არაპროფესიონალიზმი იკვეთება, მარკეტინგული ბაზარი ზიანდება, რადგან მოტყუებულ ბიზნესმენებს ისედაც ძლივს გადადგმული ნაბიჯის თავიდან გადადგმა უფრო მეტად უჭირთ მარკეტინგული საქმიანობის დასაფინანსებლად.

მარკეტინგული კომპანიის ჩამოყალიბებას სჭირდება კვალიფიციური კადრები. მათი მოძიება რთულია, თუმცა, შენარჩუნება და მოტივირება კი - კიდევ უფრო რთული. აღნიშნულ სირთულესთან გამკლავებას ჩვენს კვლევაში მონაწილე კომპანიები შემდეგი გზებით ცდილობენ: მოქნილი სამუშაო გრაფიკი, კომფორტული გარემო, ჰორიზონტალური მენეჯმენტი, კარგი სამუშაო პირობები, პროგრესირებადი ანაზღაურება, სრული სოციალური დაზღვევის პაკეტი, კვება კომპანიის ხარჯზე, ეკიპირება, კარიერული ზრდა-განვითარება.

სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე

ყველაზე მეტად მარკეტინგული მომსახურებით კერძო სამართლის იურიდიული პირები სარგებლობენ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მარკეტინგული ინდუსტრიის განვითარება ბიზნესის განვითარების პირდაპირპროპორციულია. ხშირია შემთხვევები, როცა მარკეტინგულ საქმიანობას სერიოზულად არ აღიქვამენ ბიზნესმენები და მასში თანხის გადახდა უჭირთ. ჩვენ დავინტერესდით კვლევაში მონაწილე კომპანიების მიერ მიღებული შეკვეთების თანხობრივი მოცულობით და აღმოჩნდა, რომ ერთჯერადი დიდი მოცულობის შეკვეთები მერყეობს 45 000 ლარიდან 110 000 ლარის ფარგლებში, ხოლო ყოველთვიური მცირე მოცულობის შეკვეთები კი - 700 ლარიდან 1000 ლარის ფარგლებში. კომპანიების წლიური ბრუნვა კი 200 000 ლარიდან 1 000 000 ლარამდე მერყეობს.

აღნიშნული მონაცემები გვამლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ამ სფეროში თანხის ბრუნვა ზრდადია და პროგრესირებს. ისეთი განსაკუთრებული პროდუქტი, როგორც სოციალური მედიის მართვაა, ყოველდღიურ მუშაობას საჭიროებს, შესაბამისად, ამ მხრივ მინიმუმ ერთ წლიანი კონტრაქტები ფორმდება, რაც მარკეტინგული კომპანიის ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთი გარანტიაა.

ყველაზე მოთხოვნად მარკეტინგულ მომსახურებებს მიეკუთვნება: ციფრული მარკეტინგი, საძიებო სისტემის გამართვა(CEO), სტრატეგიული დოკუმენტის შექმნა, სოციალური მედია მარკეტინგი, სოციალური მედია, ვიდეო წარმოება და ვიზუალიზაცია, ბანერები, პოლიგრაფია, ბრენდირება, არქიტექტურული ვიზუალიზაცია 3D.

აღნიშნული მარკეტინგული კომპანიები მათ წინაშე არსებული პრობლემებიდან, რომლებიც მათ ზრდა-განვითარებაში უშლის ხელს, გამოყოფენ შემდეგს:

- შესაბამისი განათლების მქონე კადრე-

- ბის სიმწირე - ბათუმში მოქმედი სასწავლებლები ვერ ქმნის საკმარის ბაზას, რათა შრომის ბაზარზე იყოს შესაფერისი კადრები, რომლებსაც მარკეტინგული კომპანიები დაასაქმებენ;
- არასაკმარისი ფინანსური რესურსები - აღნიშნულ საქმიანობას აქვს მცირე უკუგება, ამიტომაც რთულია კაპიტალდაზანდებით დაინტერესო ის ბიზნესმენი, რომელიც ამ საქმიანობაში ვერ ერკვევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოყენებულია საბანკო სესხები;
 - კონკურენცია - კომპანიებს საშუალება არა აქვთ ებრძოლონ მათზე ძლიერს, შესაბამისად, განვითარება რთულია, რადგან ნაკლებია მოტივაცია. კონკურენტები ძირითადად კლიენტის მოზიდვას არაჯანსაღი ურთიერთობების ფონზე ცდილობენ;
 - არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო - მარკეტინგულ საქმიანობაზე უარყოფითად აისახა, მაგალითად, წინასაარჩევნო პერიოდი, როდესაც მეწარმეების პროგნოზის გაკეთება უჭირდათ, ამიტომაც, უმეტესობამ მარკეტინგული სერვისების შესყიდვისაგან თავი შეიკავა;
 - დასაქმებულებში განვითარების სურვილის ნაკლებობა - შრომითი რესურსების უმეტესობა არ არის მოტივირებული, რათა განვითარდეს და მეტი გამოიმუშავოს. ერთის მხრივ, ეს მათ შემოსავლებზეც აისახება დადებითად და მეორეს მხრივ, კომპანიას უკეთ განვითარების საშუალებას მისცემს;
- გარდა პრობლემებისა, აღნიშნული მარკეტინგული კომპანიების წინაშე არსებობს გამოწვევებიც, რომლებიც შეიძლება შემდეგი სახით ჩამოვაცალიბოთ:
- განათლება - ფოტოგრაფის, ვიდეოგრაფის, გრაფიკოსის, ვებ-დეველოპერის,

სოციალური მედია არხების მართვის პროფესიის დაუფლება შესაძლოა პროფესიული განათლების გაძლიერებითაც მოხდეს და ამისთვის საჭირო არ იყოს უმაღლეს სასწავლებელში სწავლა. აქ მასწავლებლების სიმწირეც არის. კომპანია „შინდს“ ჰქონდა მცდელობა აღნიშნული პროფესიის პოპულარიზაცია მოეხდინა და სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრიის კუთხით ფესტივალ „ტურისტერით“ ეჩვენებინა ტურიზმში მარკეტინგის და ციფრული მედია საშუალებების როლი. კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ მსგავსი ინიციატივები მარკეტინგულ კომპანიებში დასაქმებულმა ადამიანებმა უნდა გამოიჩინონ, რადგან მხოლოდ სახელმწიფოს პროგრამები ვერ იქნება ეფექტიანი;

- თანამედროვე ტექნოლოგიების დაუფლება - მარკეტინგული საქმიანობის სფერო არის ძალიან განვითარებადი. საკომუნიკაციო სივრცეები იზრდება, დგება სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების საჭიროება. ყოველდღიურად იცვლება პროცესები, შესაბამისად, ახალი ტექნოლოგიების სწრაფად ათვისება ძალიან მნიშვნელოვანია ხარისხიანი პროდუქციის შესათავაზებლად;
- აღნიშნულ სფეროში ინოვაციური ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის დროული მიღება - კომპანია „ოლ პრონტის“ წარმომადგენლები წელიწადში რამდენჯერმე დადიან გამოფენებზე თურქეთში, გერმანიაში, ჩინეთში, სადაც მარკეტინგული სფეროს ტენდენციების შესახებ ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი. რა თქმა უნდა, მსგავსი აქტივობები მნიშვნელოვან ფინანსურ სახსრებთანაა დაკავშირებული, მაგრამ საქმიანობის განვითარება სხვაგვარად შეუძლებელია;

- ტექნიკური გადაიარაღება - კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარება მოითხოვს შესაბამისი ტექნიკური საშუალებების შექმნას, რაც მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებთან არის დაკავშირებული.

პრობლემებს და გამოწვევებს დაძლევა სჭირდება. შესაბამისად მნიშვნელოვანია მოვიძიოთ განვითარების გზები და განვსაზღვროთ, აღნიშნულ ინდუსტრიას ვინ რა ფორმით დაეხმარება. აღნიშნული კომპანიების მიერ დასახელდა რამდენიმე გამოსავალი:

- სახელმწიფოს მიერ მარკეტინგული მიმართულებით პროფესიული განათლების ხელშეწყობა, რაც გაზრდის კვალიფიციური კადრების რიცხვს;
- სახელმწიფო დაწესებულებების მიერ მარკეტინგული მიმართულებით მომსახურების შესყიდვა „აუთსორსინგის“ გზით, რაც ადგილობრივი კომპანიების განვითარებას შეუწყობს ხელს. ამასთან, შრომის ანაზღაურება იქნება გაცილებით მეტი, ვიდრე აღნიშნულ ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებს აქვთ და შესრულებული სამუშაოც იქნება გაცილებით ეფექტიანი;
- ხარისხიანი განათლება და ბიზნესის კულტურის ჩამოყალიბება.

ამრიგად, კვლევის შედეგად, რაც განხორციელდა მარკეტინგულ კომპანიებთან უშუალო კომუნიკაციის გზით მათი საქმიანობის სპეციფიკის, საჭიროებების, პრობლემების, გამოწვევების შესწავლით, ანალიზით და განზოგადებით, კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული სფეროს არსებობა ბიზნესისთვის აუცილებელია. შესაბამისად, ბაზარზე იზრდება მარკეტინგულ პროდუქტებზე მოთხოვნა, რომელთა შესაქმნელად კვალიფიცირებული კადრებია საჭირო.

აჭარის რეგიონში განვითარების მხრივ ყველაზე გამოკვეთილი სფეროები დეველო-

პერული და სტუმარ-მასპინძლობის ბიზნესია. ამ სფეროში კი ბევრი კომპანია მოღვაწეობს და მათ კონკურენტულ ბრძოლაში გასამარჯვებლად მარკეტინგული კომპანიების მხარდაჭერა სჭირდებათ.

საქართველოში მარკეტინგული ბაზარი ვითარდება, ჩნდებიან ახალი კომპანიები და ისინი ცდილობენ ბაზარზე დამკვიდრებას. აღნიშნულ პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანური რესურსების სწორი მართვა და განვითარება. კომპანიებს მათთვის დამახასიათებელი სტრუქტურა აქვს, რაც საქმიანობის სფეროს მიხედვით დგება. ბაზარზე დიდი მოთხოვნის პარალელურად კომპანიის შიდა შრომითი რესურსი ხშირად არ არის საკმარისი და ე.წ. „ფრილანსერების“ მოძიება ხდება საჭირო. ესეც ერთგვარი გამოწვევაა, რადგან რთულია კეთილსინდისიერი პარტნიორის პოვნა.

კვლევის პროცესში მარკეტინგული კომპანიების წარმომადგენლების მიერ დასახელებული გამოწვევების გარდა, გამოვკვეთეთ შემდეგი:

- თავისუფალი ფულადი რესურსების მოძიება რთულია, რადგან საფინანსო ინსტიტუტები შემოქმედებითი აზროვნებისა და იდეის დაფინანსებისაგან თავს იკავებენ;
- ბევრი დამწყები მარკეტინგული კომპანია კონკურენციას ვერ უძლებს და ქრება ბაზრიდან.

აჭარაში მოქმედი მარკეტინგული კომპანიების პრობლემებისა და გამოწვევების გადასაჭრელად საჭირო ღონისძიებებზე გვესახება შემდეგი:

- აუცილებელია მარკეტინგული პროდუქტების შემქმნელებმა უფრო მეტი კომუნიკაცია დაამყარონ პოტენციურ მომხმარებლებთან, რადგან ლოიალური მომხმარებლების არსებობა კომპანიის

-
-
- | | |
|---|---|
| <ul style="list-style-type: none">იმიჯის შექმნაში გადამწყვეტ როლს თამაშობს;- მარკეტინგული კომპანიების მიმართ დნობის გაზრდა, რისთვისაც მნიშვნელოვანია ხარისხიანი მომსახურების დროულად შეთავაზება, რაც, ასევე, დადებითად აისახება გაწეული შრომის ადეკვატურად შეფასებაზე მომხმარებლების მხრიდან;- სახელმწიფოს მხრიდან მარკეტინგული | <ul style="list-style-type: none">ინდუსტრიის განვითარების სფეროში კაპიტალდაზღვევების წახალისება სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებისა და თუ შეღავათების გამოყენებით;- საჯარო ორგანიზაციების მიერ მარკეტინგული მომსახურების შესყიდვის პრაქტიკის დანერგვა-განვითარება;- მარკეტინგული სფეროს სპეციალისტების მომზადების მიზნით პროფესიული განათლების მხარდაჭერა. |
|---|---|

ლიტერატურა/REFERENCES

- [1] **ბელჩი ჯ. და ბელჩი მ.** „რეკლამა და პრომოცია“, გამომცემლობა „დიოგენე“. თბილისი, 2013;
- [2] Dorling Kindersley, “The Business Book”, 2014;
- [3] Mark Tungate, “AD land, a global history of advertising”, London 2007;
- [4] **J. Walter** Thompson’s, history of advertising, ელ. მის: <https://www.jwt.com/history/>;
- [5] ვებპორტალი <http://www.company-histories.com/Dentsu-Inc-Company-History.html>;
- [6] ვებპორტალი <https://www.referenceforbusiness.com/history2/28/Saatchi-Saatchi.html>;
- [7] **Bajnai, Anna.** Brand Design and Website Redesign for a Digital Marketing Agency, <https://www.theseus.fi/handle/10024/484222>. 2021;
- [8] **Stephen J. Gould Ph.D. Dawn B. Lerman. Andreas F. Grein Ph.D,** The Role of Agency-Client Integration in Integrated Marketing Communications: A Complementary Agency Theory-Interorganizational Perspective, <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/10641734.1999.10505085>. 2012;
- [9] **Strycharz J., Noort G., Helberger N., Smit E.** «Contrasting perspectives–practitioner’s viewpoint on personalised marketing communication». European Journal of Marketing, 2019.

JEL Classification: M1; M130
DOI:10.46361/2449-2604.8.1.2021.57-64

სტარტაპი - იდეები ბიზნესისთვის

თორნიკე კაკულია
ეკონომიკის დოქტორი
E-mail: tornike@transload-geo.com
orcid.org: 0000 – 0002 – 4319 - 1746

შემოსულია რედაქციში:
თებერვალი, 2021
რეცენზირებულია:
მარტი, 2021

სტარტაპი არის ახალი ფინანსური პროექტი, რომლის მიზანია სწრაფად დაიბრუნოს ჩადებული ინვესტიცია და მიიღოს მოგება. სტარტაპი ჩვეულებრივი ბიზნესის სახეობაა, თუმცა მათ შორის არის განსხვავება. სტარტაპი არის ბიზნესი, რომელიც აქამდე არ ყოფილა. სტარტაპი ბიზნესის საწყისი ეტაპია, რომელშიც იდეა გადამწყვეტია. სწორედ ამ იდეებში დებენ ინვესტორები თავიანთ ფულს. ინვესტორების მიზანია დაეხმარონ კომპანიას საკუთარი ცოდნით მოახდინონ პროექტის წარმატებული გაყიდვები. მიღებული ფული მიზნად ისახავს ბიზნესის ზრდის დაჩქარებას და მასშტაბების გაფართოებას. სტატისტიკურად, სტარტაპების 90% წარუმატებელია.

სტატიში განხილულია სტარტაპის არსი, მისი თავისებურებები და განსხვავებები ჩვეულებრივი ბიზნესისაგან; სტარტაპის ზრდის დაფინანსების პოპულარული წყაროები; ზოგადად, სტარტაპის შექმნის პროცესი; წარუმატებლობის მიზეზები. სტატიის მიზანია დამწყებ ბიზნესმენებს გააცნოს, თუ როგორ შეიძლება დაიწყოს სტარტაპი და რა რისკები შეიძლება ახლდეს მას.

საკვანძო სიტყვები: სტარტაპი, ტექნიკური ინოვაცია, ვენჩერული კაპიტალი, ახალი პროდუქტი

JEL Classification: M1; M130

DOI:10.46361/2449-2604.8.1.2021.57-64

TORNIKE KAKULIA

Doctor of Economics

E-mail: tornike@transload-geo.com

orcid.org: 0000 – 0002 – 4319 - 1746

STARTUP – A TYPE OF BUSINESS

A startup is a new financial project that aims to quickly recoup its investment and make a profit. Startup is a type of ordinary business, but there is a difference between the two. Startup is the initial stage of the business in which the idea is crucial. Investors invest their money in ideas. The goal of the investors is to help the company with their own knowledge to make successful sales of the project. The money earned is aimed at accelerating business growth and expanding scale. Statistically, 90% of startups are unsuccessful.

The article discusses the essence of a startup, its features and differences from a conventional business; Popular sources of startup growth funding; In general, the process of creating a startup; Causes of failure. The purpose of this article is to introduce beginners to how a startup can be started and what risks may come with it.

Edited by:

February, 2021

Reviewed by:

March, 2021

Keywords: *Startup, Technical innovation, Venture capital, New product*

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ტერმინი „სტარტაპი“ პირველად შეერთებულ შტატებში 1939 წელს გაჩნდა. მაშინ, სტენფორდის უნივერსიტეტის სტუდენტებმა დევიდ პაკარდმა და უილიამ ჰილუეტმა, შექმნეს მცირე პროექტი და ამ ბიზნესს სტარტაპი უწოდეს.[1] პროექტი წარმატებული აღმოჩნდა. დროთა განმავლობაში ეს სტარტაპი გადაიქცა უზარმაზარ და წარმატებულ კომპანიად, Hewlett-Packard. თავად ტერმინი Forbes-ში გამოჩნდა 1976 წლის აგვისტოში, იმ კომპანიებისთვის, რომლებიც მოკლე დროში ახორციელებდნენ თავიანთ საქმიანობას.[2] dot-com-ების ბუმის დროს იგი ძალიან პოპულარული გახდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში ტერმინი „სტარტაპი“ სწრაფად გავრცელდა და დღეს იგი ყველგან ისმის.

სტარტაპი არის ახალი ფინანსური პროექტი, რომლის მიზანია ჩადებული ინვესტიციის სწრაფი დაბრუნება და მოგების მიღება.

ამერიკაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სიტყვა სტარტაპს. ისინი ამ სიტყვაში გულისხმობენ არა მხოლოდ ახალ პროდუქტს ორიგინალური იდეით, არამედ კომპანიას, რომელიც ქმნის ამ პროდუქტს, ადამიანთა გუნდს, პერსონალს... სტარტაპის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული დამფუძნებლების ასაკზე. სტატისტიკის მიხედვით, მათი ასაკი 20-25 წელია. ეს ის ასაკი, როდესაც ადამიანს აქვს უმაღლესი იდეალები, შეუპოვრობა, მუშაობის სურვილი და, რაც ყველაზე მთავარი, ამის გაკეთების უნარი, რადგან ამ ასაკში უმეტესობას ოჯახი არ ჰყავს, აქვს ბევრი დრო და ენერჯია.

სტარტაპი ხშირად ასოცირდება ტექნოლოგიასთან, გამოგონებასთან და ტექნიკურ ინოვაციასთან. სინამდვილეში, ასეთი პროექტის ორგანიზება შესაძლებელია საქმიანობის აბსოლუტურად ნებისმიერ სფეროში. თვით სახელწოდება «სტარტაპი» მოდის ინგლისურიდან «start up», რაც ნიშ-

ნავს «დაწყებას» და გულისხმობს პროცესის დაწყებას. არ არის აუცილებელი, რომ პროექტი ასოცირდებოდეს რაიმე სახის ინოვაციასთან. დამწყები კომპანიების მთავარი განმასხვავებელი ნიშანია ახალ ბიზნეს მოდელებზე ორიენტირება და სწრაფი ზრდა.

კიდევ ერთი განმარტება, თუ რა არის სტარტაპი, ეკუთვნის სტივ ბლანკს, სტარტაპების „ნათლიას“: „სტარტაპი არის დროებითი ორგანიზაცია, რომელიც გამოიყენება განმეორებადი და მასშტაბური ბიზნეს მოდელის მოსაძებნად“.

პოლ გრემი, ვერჯურული კაპიტალის ფონდის Y Combinator-ის თანადამფუძნებელი, მას ყველაზე ლაკონურად ხსნის: „სტარტაპი = ზრდა“.

სტარტაპი ყოველთვის გუნდიდან იწყება. იშვიათია, რომ სტარტაპს ერთი ადამიანი უძღვებოდეს. როგორც წესი, ეს არის სტუდენტების, მეგობრების ან პარტნიორების ჯგუფი. ეს არის კარგად კოორდინირებული გუნდი, რომელსაც უზარმაზარი დრო, ძალისხმევა, სურვილი, კრეატიულობა, ცოდნა, ინვესტორების ფინანსური მხარდაჭერა და წარმატების დიდი შანსი აქვს. წარმატების შემთხვევაში, სტარტაპი ძალიან სწრაფად იზრდება.

მსხვილი კორპორაციები და მსხვილი ფირმები, უზარმაზარი მასშტაბის გამო, ხშირად ზოგიერთ სფეროში ვერ ახერხებენ პრობლემების სწრაფად მოგვარებას, სწრაფად ვერ პასუხობენ მომხმარებელთა ზოგიერთ მოთხოვნას და ა.შ. მცირე ბიზნესი ყოველთვის განიხილებოდა როგორც «უფრო სწრაფი» და «მოხერხებული». ამის გამო, სტარტაპები წარმატებულია და, შესაბამისად, მათ მსხვილი კორპორაციები ყიდულობენ.

სტარტაპი ჩვეულებრივი ბიზნესის სახეობაა, თუმცა მათ შორის არის განსხვავება. სტარტაპი ბიზნესის საწყისი ეტაპია, რაც,

ძირითადად, ჰიპოთეზის აქტიურ ინვესტიციებსა და ინფორმაციულ ტესტირებაზე მინიშნებს: „საინიციატივო ჯგუფის მიერ რაიმე იდეის საფუძველზე ბიზნესის წარმართვის შესაძლებლობის შესახებ“. ამგვარი ჰიპოთეზის შემოწმების შედეგების საფუძველზე, გუნდს უნდა ჰქონდეს საკმარისი რესურსი გარკვეული ბიზნეს მოდელის შემუშავებისთვის.

განსხვავებით ჩვეულებრივი ბიზნესისგან, რომელსაც ადამიანი უბრალოდ ხსნის, სტარტაპს აქვს ინოვაციური საფუძველი, ე.ი. იხსნება ბიზნესი, რომელიც ადრე საერთოდ არ არსებობდა. მარტივი სიტყვებით - სტარტაპი არის ბიზნესი, რომელიც აქამდე არ ყოფილა. ნებისმიერი სტარტაპის იდეა არის სიახლე, ახალი პროდუქტი, ახალი ტექნოლოგია, რაც აქამდე არასოდეს ყოფილა მსოფლიოში.[3]

ჩვეულებრივი ბიზნესი ემყარება გარკვეულობასა და პროგნოზირებადობას. თუმცა ახალი სტარტაპის მომავალი ძალიან გაურკვეველია - ახალმა იდეამ უნდა იპოვოს სწორი გზა და მოძებნოს ფართო სამიზნე აუდიტორია.

ინოვაცია ყოველთვის არის სარისკო პროცესი. არსებობს მრავალი შიდა და გარე ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენენ სტარტაპის ბედზე. და რადგან სტარტაპების უმეტესობა ჰიპოთეზებზეა აგებული, სტარტაპების გადარჩენის გრძელვადიანი პერსპექტივა ყოველთვის გაურკვეველია. სტარტაპი ყოველთვის ეხება რისკებსა და გაურკვევლობებს.

კონტექსტი, რომელშიც ინოვაცია იზადება, არის ის, რაც სტარტაპს განასხვავებს მცირე ბიზნესისგან. სტარტაპი იზადება იდეიდან, რომელიც შექმნილია სიტუაციის ამჟამინდელი მდგომარეობის შესაცვლელად, მიზნის მისაღწევად ან კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად. სტარტაპის იდეე-

ბი ეს არის ინოვაციური მეთოდების ძიება პრობლემის გადაჭრის გზით სამყაროს ცოტა უკეთესობისკენ შესაცვლელად.

სტარტაპის იდეა გადამწყვეტია, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი შეიძლება შეიცვალოს. სტარტაპს შეუძლია მკვეთრად შეცვალოს კურსი, თუ პირველი აზრი არ არის საუკეთესო. ამიტომ, 180 გრადუსით მიმართულების შეცვლის სურვილი სტარტაპს განასხვავებს სხვა მსხვილი და მცირე ბიზნესისგან.

სტარტაპი განსხვავდება ჩვეულებრივი ბიზნესისგან იმიტომაც, რომ მას თითქმის მაშინვე უჩნდება ინვესტორები, ე.ი. ინვესტორები კომპანიაში დებენ ფულს არა იმ მომენტში, როდესაც ის უკვე წარმატებით მუშაობს, არამედ დაარსებისთანავე. სტარტაპი იდეებს ემყარება და სწორედ ამ იდეებში დებენ ინვესტორები თავიანთ ფულს. ასეთი ინვესტიცია კი სარისკოა.

ყველა ახალმა ინვესტორმა უნდა გააცნობიეროს რისკი, რადგან ინოვაცია ყოველთვის არ ამართლებს. ხშირად ხდება ისე, რომ იდეა კარგია, მაგრამ რატომღაც არ გამოვიდა ... ან, პირიქით, რაღაც გიჟურმა იდეამ დიდი მოგება მოიტანა.

სწრაფი ზრდის ხასიათიდან გამომდინარე, სტარტაპერებს აქვთ დიდი მოგების მიღების შესაძლებლობა. შედეგად, ისინი დიდ ყურადღებას იპყრობენ ინვესტორების მხრიდან, რომელთაც სურთ თავიანთი კაპიტალის გაზრდა. სტარტაპის დაბადება, როგორც წესი, მისი დამფუძნებლის მიერ გამოგონილი პროდუქტის ან მომსახურების კონცეფციაა.

სტარტაპის დამფუძნებელი ხშირად ზედამხედველობას უწევს პროდუქტის განვითარებას და ასევე ასრულებს ორგანიზაციის ბიზნესის ხელმძღვანელის ფუნქციას. ხშირად ის ფოკუსირდება კომპანიის მასშტაბზე და არა მოგებაზე.

შედგად, ინვესტიციების მოზიდვის ეტაპზე, სტარტაპის სავარაუდო ღირებულება ყოველთვის არ შეესაბამება ადრეულ წლებში მიღებულ რეალურ შემოსავალს. ამიტომ, დამფუძნებლებმა და ინვესტორებმა უნდა გაითვალისწინონ სტარტაპის პოტენციური ღირებულება, არა რეალურ, არამედ დაგეგმილ მოგებაზე, პროგნოზებზე, ტენდენციებზე და მასშტაბის გეგმებზე დაყრდნობით.

ზოგიერთი სტარტაპი, როდესაც იწყებს კომპანიას, ბიზნესის მიმდინარე ხარჯების დასაფარავად იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს (პირადი ან ნასესხები). სხვები მიმართავენ ანგელოზ ინვესტორებს, შემდეგ - ვენჩურულ კაპიტალისტებს. საერთო ჯამში, სტარტაპის დაფინანსების რამდენიმე გზა არსებობს.

სტარტაპის ზრდის დაფინანსების ყველაზე პოპულარული წყაროებია: [4]

1. „ჩემები“ -ოჯახის წევრები ან ახლობლები - სტარტაპის განვითარების ადრეულ ეტაპზე, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ;
2. ანგელოზი ინვესტორები - ესენი არიან ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერენ და საკუთარ ფულს დებენ ბიზნესის წამოწყების საწყის ეტაპზე ბიზნესის წილის სანაცვლოდ.
3. თესვის ინვესტიციები (seed investment) - როგორც წესი, აქტუალურია კომპანიის დაფინანსების ციკლის ადრეულ ეტაპებზე. მანამდეც, სანამ მოგება ხელშესახები გახდება.
4. ვენჩურული კაპიტალი - ჩვეულებრივ ხდება განხილვის თემა, როდესაც სტარტაპმა უკვე მიაღწია გარკვეულ შედეგებს, მაგრამ მაინც ითვლება სარისკო ინვესტიციად. იგი მოდის სპეციალიზირებული ინვესტიციების ან ვენჩურული ფონდებიდან.

5. „გამოსავლის“ სტრატეგია - სტარტაპ-ინვესტორები, დამფუძნებლებთან და მენეჯერებთან ერთად, ხშირად ბრუნდებიან და ზრდიან თავიანთ ინვესტიციებს, უფრო მსხვილ, უკვე დამკვიდრებულ კომპანიებზე სტარტაპის გაყიდვით. ეს არის პირველი „გასვლის“ სტრატეგია - შერწყმა ან შენაძენი. მეორე სტრატეგია მოიცავს საჯარო თავდაპირველ შეთავაზებას (IPO).

ინვესტიცია სტარტაპერებში არის პერსპექტიული და იაფი შემოსავლის მიღების ძირითადი წყარო ბიზნესმენებისთვის. ინვესტიციამ შეიძლება მიაღწიოს რამდენიმე მილიონ დოლარს. მაგრამ ინვესტორებს მეტი მოთხოვნებიც აქვთ. ისინი აფასებენ პროექტის არა იმდენად მოსალოდნელ მოგებას, რამდენადაც პროდუქტისა და გუნდის საერთო პოტენციალს. ამავე დროს, მათ შეიძლება მოითხოვონ მენეჯმენტში მონაწილეობა და ზეგავლენა მოახდინონ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე. დაფინანსების ძირითადი პრინციპია - ყოველთვის, როდესაც სტარტაპი ფულს იღებს განვითარებისათვის, ის აძლევს ინვესტორს თავის კომპანიის ნაწილს, რომელიც ხდება თანამესაკუთრე.

ინვესტორების მიზანია დაეხმაროს კომპანიას საკუთარი ცოდნით მოახდინონ პროექტის წარმატებული გაყიდვები. სტარტაპების მიერ მიღებული ფული მიზნად ისახავს ბიზნესის ზრდის დაჩქარებას და მასშტაბების გაფართოებას.

ახალი პროექტები ბევრად უფრო სწრაფად ვითარდება. თუ მომხმარებელი დაინტერესებულია ამ იდეით, მხოლოდ ერთ წელიწადში კომპანია გახდება ლიდერი და მიაღწევს შთამბეჭდავ მოცულობას.

სოციალური ქსელი „Facebook“-ი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სტარტაპია. მასზე ადრე ასეთი მასშტაბური სოციალური ქსელი არ არსებობდა და კომპანიის არც ერთ

მფლობელს არ შეეძლო ეწინასწარმეტყველა, თუ რამდენად ძლიერი იქნებოდა წარმატება, რადგან ისინი ვერ დაეყრდნობოდნენ ამ ბიზნესის რაიმე სტატისტიკას. პროექტის ადმინისტრაცია ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ინტერნეტის სოციალურ სივრცეში ღრმად შეიჭრა.

პროექტი თავდაპირველად შეიქმნა როგორც ინტერნეტის Facemash ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის სტუდენტების ფოტოების შეფასების მიზნით. ფოტოების უკანონო გამოყენების სკანდალის შემდეგ, პროექტი დაიხურა და შემდეგ გადაიქცა Thefacebook პლატფორმაში, რომელიც მხოლოდ ჰარვარდისთვის იყო ხელმისაწვდომი.[5]

მყარი ინვესტიციების მოზიდვის შემდეგ, გაუმჯობესდა პლატფორმა, დაერქვა Facebook და გახდა ხელმისაწვდომი კოლეჯის და საშუალო სკოლის სტუდენტებისთვისაც. აუდიტორიის სწრაფმა ზრდამ და დამატებითმა ინვესტიციებმა განაპირობა ყველა მომხმარებლისთვის გლობალური ხელმისაწვდომობის გახსნა. პროექტის ანაზღაურება უზრუნველყოფილი იქნა რეკლამის განმთავსებლების მოზიდვით. ამრიგად, მუდმივი კვლევის შედეგად, წარმატებული ბიზნესი მოდელი აღმოჩნდა, რამაც Facebook-ს სწრაფი ზრდის საშუალება მისცა. facebook წლებია ერთ – ერთი ყველაზე მოხმარებადი სოციალური ქსელია მთელს მსოფლიოში. ამასთან, მას უამრავი მიმდევარი ჰყავს.[5]

და მაინც, ისტორიაში ყველაზე დიდ სტარტაპებად რჩება ნამდვილი ურჩხული კორპორაციები: Apple, რომელმაც 1976 წელს ააწყო პირველი პერსონალური კომპიუტერი; Google, რომელმაც შექმნა მსოფლიოში ყველაზე სწრაფი და ყველაზე ჭკვიანი საძიებო სისტემა Microsoft და სხვ.

წარმატებული სტარტაპების არცერთი

ისტორია არ ჰგავს ერთმანეთს. თითოეულ ახალ პროექტს თავისი გზა აქვს. ამასთან, ზოგადად, სტარტაპის შექმნის პროცესი ასე გამოიყურება:

- პრობლემის იდენტიფიცირება - განსაზღვრეთ აუდიტორიის საჭიროებები, რომელსაც თქვენი პროდუქტი დაფარავს.

- შეისწავლეთ ბაზარი - შეიტყვეთ, ნამდვილად სჭირდებათ ხალხს თქვენი გადაწყვეტილება და გაიგეთ, არსებობს თუ არა პრობლემის მსგავსი გადაწყვეტა ბაზარზე.

- შექმენით გამოსავალი - მოიფიქრეთ პრობლემის გადაჭრა ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით ან ბიზნეს პროცესების ორგანიზების ახალი მიდგომით.

- ორგანიზება გაუწიეთ გუნდს - ეძებეთ მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც შთაგონებულ იქნებიან თქვენი იდეით და მზად იქნებიან მისი ერთობლივი განხორციელებისთვის.

- ეძებეთ განხორციელების გზა - ამ ეტაპზე ისინი ამოწმებენ პროდუქტზე მოთხოვნას ბაზარზე, წარუდგენენ იდეას ინვესტორებს და ამუშავებენ ბიზნეს მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის სწრაფ და სტაბილურ ზრდას.[6]

სტარტაპის წამოწყებისას, არ უნდა ელოდოთ უმაღლეს წარმატების მიღწევას. სანამ იდეა მოგებას დაიწყებს, პროექტს არაერთხელ შეექმნება სირთულეები.

სტატისტიკურად, სტარტაპების 90% წარუმატებელია. ამის ძირითადი მიზეზებია:

- მოზიდული სახსრების არაეფექტური მართვა. მაგალითად, კომპანია იყენებს ინვესტიციებს დაუფიქრებლად ან იზიდავს ძალიან ბევრ ინვესტორს, რომლებიც დროთა განმავლობაში დაბრუნებას ითხოვენ.

- იურიდიული პრობლემები. ეს შეიძლება იყოს საქმიანობის არასწორი რეგისტრაცია ან გარკვეული კანონების დარღვევა პროდუქტის წარმოებაში.

- კონკურენტებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. კომპანია იმდენად იმედოვნებს პროდუქტის წარმატებას, რომ იწყებს ბაზარზე კონკურენციის უგულვებლყოფას და დროულად არ რეაგირებს კონკურენტების ქმედებებზე.

- ცუდი ბიზნესის მოდელი. თუ კომპანიას განვითარების მხოლოდ ოპტიმისტური გზა აქვს, მაშინ ადრე თუ გვიან მას პრობლემები შეექმნება. მნიშვნელოვანია მოქმედების ვარიანტების მიწოდება იმ შემთხვევაში, თუ რამე არასწორად მოხდება.[6]

სტარტაპი ორგანიზაციის დროებითი ფორმაა. სტარტაპი ყოველთვის ეძებს მასშტაბურ ბიზნეს მოდელს. იდეა თავიდანვე ვითარდება და სტარტაპის მთავარი მიზანი არის მოგების წყაროების მოძებნა.

ამერიკისა და ევროპისაგან განსხვავებით

სტარტაპის კონცეფციამ საქართველოში არც ისე დიდი ხნის წინ მოიპოვა მასობრივი პოპულარობა. დღეს სტარტაპების თემაზე უკვე ბევრი საუბრობს.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ახალი სტარტაპები ძირითადად IT ტექნოლოგიებს უკავშირდება, მაგრამ თუ პროექტი IT-ს უკავშირდება, ეს არ ნიშნავს რომ ის სტარტაპია. სტარტაპსა და ბიზნესის სხვა სახეობებს შორის განსხვავებები შემდეგია: ზრდა, მასშტაბურობა, განვითარების არაპროგნოზირებადობა. არსებობის მოკლე პერიოდში, სტარტაპი პროექტიდან სრულფასოვან, ფინანსურად დამოუკიდებელ კომპანიად უნდა გადაიზარდოს. სტარტაპმა შეიძლება განიცადოს მარცხი, ან მან სრულიად შეცვალოს ჩვენი აზროვნება.

2011-2020 წლებში მსოფლიოში შექმნილი სტარტაპების დარგობრივი სტრუქტურა

IT, პროგრამული უზრუნველყოფა	37,2%
ვაჭრობა და მომსახურება	20,9%
მომსახურება ბიზნესისთვის	13,4%
მედიცინა და ფარმაცევტიკა	7,5%
ფინანსური მომსახურება	7,0%
რობოტიკა და ხელოვნური ინტელექტი	5,6%
განათლება	4,5%
სატრანსპორტო მომსახურება და ლოგისტიკა	1,5%
სოციალური ქსელი	1,1%

წყარო: CRUNCHBASE

დასკვნა

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტარტაპ პროექტის შესაქმნელად, გადამწყვეტი ფაქტორია ფუნდამენტურად ახალი იდეების წარმოქმნა, რომლებიც დროის გარკვე-

ულ მომენტში აკმაყოფილებს საზოგადოების საჭიროებებს. ამიტომ, შემოქმედებითობა და არასტანდარტული შეხედულება ბევრ ჩვეულებრივ საკითხზე თქვენი მომავალი საწარმოს წარმატების საწინდარია.

ლიტერატურა/ REFERENCES

- [1] Что такое стартап (реальные примеры) – отличия и инвестиции <https://pammtoday.com/chto-takoe-startap.html>
- [2] Когда появился первый стартап <http://wincubator.ru/?p=379>
- [3] <https://pammtoday.com/chto-takoe-startap.html>
- [4] Grant Mitchell. Startup <https://www.investopedia.com/terms/s/startup.asp>
- [5] **Tayliyev Arslan.** How to Start a Startup: Make a Business Step-By-Step <https://medium.com/swlh/how-to-start-a-startup-make-a-business-step-by-step-d64887d2ff38>
- [6] **Азаренко Натали.** Что такое стартап: как создать свою компанию и где найти первые инвестиции <https://www.unisender.com/ru/support/about/glossary/chto-takoe-startap/>

JEL Classification: M130
DOI:10.46361/2449-2604.8.1.2021.65-76

ინოვაციური პროექტების კომერციალიზაციის აუცილებლობა და პრობლემები საქართველოში

ნანული მახარაძე

ბიზნესისა და მართვის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი
ბათუმი, საქართველო
E-mail: maxaradze.nanuli@bsu.edu.ge
orcid.org/0000-0002-2322-0052

ინოვაციური პროექტების კომერციალიზაციის აუცილებლობის მიზნით სტატიაში განხილულია საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიმდინარე და განხორციელებული პროექტები. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით ცნობილია, რომ საინოვაციო პოლიტიკაში სახელმწიფო არის მთავარი ინვესტორი, რომელიც ფულს აბანდებს განათლებაში, ზოგადად კვლევებსა (მათ შორის საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაში – კვლევითი ორგანიზაციების, საკონსულტაციო, საშუამავლო და საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობაში) და ასევე მისი შედეგების რეალიზაციაში, რომელიც გულისხმობს სიახლეებზე ორიენტირებული სახელმწიფო დაკვეთების/გრანტების და პროექტების განხორციელებას.

კვლევის ჩატარებისას ყურადღება გამახვილდა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს რამდენიმე ინოვაციურ პროექტზე, რომელთა საფუძველზე შესწავლილი იქნა კომერციალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები და შეფასდა შესაბამისი შედეგები. პროექტები ძირითადად შეფასდა დაფინანსების საკვალიფიკაციო კრიტერიუმებისა და დარგობრივი ნიშნის მიხედვით. კვლევის ეკონომიკურ-სტატისტიკური, ანალიზისა და სინთეზის მეთოდებით გამოვლინდა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტების დარგობრივი სტრუქტურა, რომელთა კომერციალიზაციის აუცილებლობამ უნდა შეძლოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარება და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლება.

ინოვაციური პროექტების კომერციალიზაციის აუცილებლობის მიზნით, მნიშვნელოვანია კერძო სექტორსა და განათლების სისტემას შორის კავშირის გაღრმავება, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის წარმატებულ რეალიზაციას და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, გრანტი, მიმდინარე პროექტები, დაფინანსებული პროექტები, საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, კომერციალიზაცია.

შემოსულია რედაქციაში:

თებერვალი, 2021

რეცენზირებულია:

მარტი, 2021

JEL Classification: M130
DOI:10.46361/2449-2604.8.1.2021.65-76

NECESSITY AND PROBLEMS OF COMMERCIALIZATION OF INNOVATIVE PROJECTS IN GEORGIA

NANULI MAKHARADZE

Doctor of Business and Management,
Batumi Shota Rustaveli State University,
Assistant professor,
E-mail: maxaradze.nanuli@bsu.edu.ge
orcid.org/0000-0002-2322-0052

The article discusses the current and implemented projects of the Georgian Innovation and Technology Agency, due to the need of innovative projects commercialization. Based on the experience of developed countries, it is known that the state is the main investor in innovation policy, which invests money in education, generally in research (including in the development of innovation infrastructure - in the activities of research organizations, consulting, intermediary and financial institutions) and also in the implementation of its results, which involves the implementation of innovation-oriented government orders / grants and projects.

During the research, the focus was on several innovative projects of the Georgian Agency for Innovation and Technology, based on which the problems related to commercialization were studied and the relevant results were evaluated. The projects were mainly evaluated on the basis of funding qualification and industry criteria. Through the economic-statistical, analysis and synthesis methods of the research, the sectoral structure of the projects financed by the Georgian Innovation and Technology Agency was revealed. The need to commercialize these projects should enable the development of the country's economy and increase public welfare.

Due to the need to commercialize innovative projects, it is important to deepen the link between the private sector and the education system, which should contribute to the successful implementation of the country's innovative policies and the development of the country's economic growth.

Keywords: *Innovation, Grant, Ongoing projects, Funded projects, Qualification criteria, Commercialization.*

Edited by:
February, 2021
Reviewed by:
March, 2021

შესავალი

დღეს, ისევე როგორც არასდროს განვითარებული ქვეყნების მსგავსად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სამეცნიერო ტექნიკური პოტენციალის ათვისებას და მის გამოყენებას. ქვეყანაში ინოვაციური პოლიტიკის განვითარების მიზნით, ბოლო პერიოდში მთავრობის მიერ აქტიურად მიმდინარეობს კვლევის და განვითარებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის სრულყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კვლევით ლაბორატორიებში. ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობა აქტიურად ატარებს რიგ ღონისძიებებს ინოვაციური იდეების მობილიზებისა და საზღვარგარეთული ინვესტიციების შემოდინების მხარდაჭერისათვის, რომლებიც მიმართულია ქვეყანაში მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვაზე, განსაკუთრებით კი, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენებასა და მწვანე ეკონომიკის განვითარებაზე. ასევე, ცდილობს მუდმივად გამოიყენოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის მხარდაჭერი ინსტრუმენტები – შეხვედრები და ტრენინგები საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მათ შორის ტრენერებისთვის), ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების მასტიმულირებელი საკანონმდებლო პაკეტების ინიცირებასა და ფინანსირების მექანიზმების ხელმისაწვდომობის მიზნით [6].

„მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა სახელმწიფოების მიერ სამეცნიერო საქმიანობისა და მისი შედეგების გამოყენების მხარდაჭერის ტენდენცია, რომელსაც სამეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკას უწოდებდნენ [4], რასაც ცხადია გვერდს ვერ აუვლის ქართული სახელმწიფო.

ინოვაციური პროექტების კომერციალიზაციის აუცილებლობის მიზნით კვლევის ამოცანაა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ მიმდინარე და განხორციელებული პროექტების შესწავლა და შეფასება. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით ცნობილია, რომ საინოვაციო პოლიტიკაში სახელმწიფო არის მთავარი ინვესტორი, რომელიც ფულს აბანდებს განათლებაში, ზოგადად კვლევებსა (მათ შორის საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაში – კვლევითი ორგანიზაციების, საკონსულტაციო, საშუამავლო და საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობაში) და ასევე მისი შედეგების რეალიზაციაში, რომელიც გულისხმობს სიახლეებზე ორიენტირებული სახელმწიფო დაკვეთების/გრანტების და პროექტების განხორციელებას. კვლევების და განვითარების შედეგების კომერციალიზაციის მიზნით, პრიორიტეტულია კომუნიკაცია და კავშირების გაღრმავება კერძო სექტორსა და განათლების სისტემას შორის, რომლის მეშვეობითაც უნდა დაჩქარდეს ინოვაციური იდეების პრაქტიკაში დანერგვა და კომერციალიზაცია.

ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ბოლო წლებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დამყარებული ეკონომიკის შექმნის მიზნით გასატარებელია ღონისძიებებია, რომლებმაც პრაქტიკულად ხელი უნდა შეუწყოს ინოვაციური პროცესის განხორციელების ტემპების დაჩქარებას.

ლიტერატურის მიმოხილვა

იმის გამო, რომ ინოვაციური პროექტების განვითარებისა და ხელშეწყობის მიმართულებით ქვეყანას არ გააჩნია დიდი გამოცდილება განსაკუთრებით ყურადსაღებია ინო-

ვაციური პოლიტიკის განვითარებაზე დაკვირვება და განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება მით უფრო, რომ საქართველოში ინოვაციის მხარდაჭერისთვის, მთავრობა აქტიურად ახორციელებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის (ტექნოპარკები, ინკუბატორები...) განვითარებას და სათანადო კვალიფიკაციით სამუშაო ძალის მომზადებას. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველო ინარჩუნებს მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალს, კვალიფიციურ სამეცნიერო და საინჟინრო კადრებს, აქვს მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსები და შიგა ბაზრის დიდი პოტენციალი. რეფორმების წლებზე დაკვირვება და ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველომ ყველა ეს რესურსი უნდა მიმართოს ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებას და ინოვაციური იდეების კომერციალიზაციას არ უნდა დასჭირდეს წლები. აღსანიშნავია, მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები – 2014 წლის დასაწყისში „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020-ის“ პროექტის [17], კონცეფცია და პროგრამების გარდა, არსებობს არაერთი ქართველი მეცნიერ-მკვლევარის შეფასება და დასკვნა. კერძოდ: ო. შატბერდაშვილის ხედვის თანახმად, სახელმწიფო ინტენსიურად აფინანსებს კვლევებს საჯარო სექტორში (უნივერსიტეტებსა და სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში) [4], ლ. ქოქიაურის მოსაზრებით – დღეისთვის აქტუალურია სა-მეცნიერო კვლევების და დამუშავებებზე გაწეული ინვესტიციების საერთო მოცულობაში კომერციული სექტორის წილის გადიდება [5], რაც ერთობ მნიშვნელოვანია ქვეყნის ზრდა-განვითარებისათვის.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს ქართველი და უცხოელი მეცნიერთა სამეცნიერო ნაშრომების გარდა, წარმოადგენს: საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინტერნეტ-მასალები; საკანონმდებლო დადგენილებები, განკარგულებები, პროგრამები, ქვეყნის საინოვაციო კონცეფცია და ა.შ. კვლევის პროცესის სწორად წარმართვისათვის ნაშრომში გამოყენებულია ეკონომიკურ-სტატისტიკური, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, რომლითაც გამოვლენილია საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტების პრიორიტეტები და დარგობრივი სტრუქტურა.

კვლევის შედეგები

საქართველოში, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული როლი აკისრია ინოვაციური ეკონომიკის სრულყოფას. ამ მხრივ, უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით არაერთი პროექტი განხორციელდა. კერძო სექტორის განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, მთავრობა ხელს უწყობს კვლევასა და განვითარებას, რაც თავის მხრივ, მოიცავს როგორც გამოყენებითი კვლევების განხორციელებისადმი ხელშეწყობას და მათი სახელმწიფო დაფინანსების ეფექტიანობის ზრდას. მთავრობა ცდილობს, ხელი შეუწყოს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც, თავის მხრივ, ინოვაციების მთავარი მამოძრავებლები არიან. კვლევების და განვითარების ხელშეწყობა კერძო სექტორს და განათლების სისტემას

შორის გულისხმობს, კავშირების გაღრმავებით გამოყენებითი კვლევისა და განვითარების როგორც ხარისხის, ისე პრაქტიკაში დანერგვასა და კომერციალიზაციის წარმატებით განხორციელებას.

როგორც სამეცნიერო კვლევები ადასტურებს, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია საინოვაციო პოლიტიკის განვითარება. ბოლო წლების სამთავრობო გადაწყვეტილებებიდან, რომელიც ინოვაციის საკითხებს შეეხო, შეიძლება აღვნიშნოთ რეგიონული განვითარების სტრატეგია (2010 წ.), საქართველოს საინოვაციო კონცეფცია და სხვ. საერთო ჯამში, კვლევებსა და განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობა, რაც კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს, საქართველოში ჯერ კიდევ შედარებით სუსტი და ფრაგმენტულია [1,2,3].

საქსტატის მიერ ჩატარებული სპეციალური ინოვაციების კვლევის თანახმად, 2013-2015 წლებში საინოვაციო საქმიანობაში ჩართული ქართული საწარმოების 48.8%-მა წარმოადგინა ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქცია, ხოლო კომპანიების 51.2% ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული სერვისები. გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ინოვაციური საქმიანობის 23.1% შეწყდა დასრულებამდე, ხოლო 76.9% ჯერაც მიმდინარეობს. იმავე კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საწარმოების 97.5%-ს აქვს ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, ხოლო საწარმოების 44.3%-ს აქვს საკუთარი ვებგვერდი [3]. მიუხედავად ამისა, კვლევებისა და განვითარების (R&D), ინოვაციებისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფილი სტატისტიკა საქართველოში ჯერ კიდევ საკმარისად არ იწარმოება. ზოგიერთი მონაცემი ხელმისაწვდომია, მაგრამ მათი უმრავლესობა არ არის წარმოდგენილი რეგიონულ დონეზე.

თავდაპირველად სააგენტოს მიერ განხორციელდა რამდენიმე მიმდინარე პროექტი: ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამა (TTPP), სტაჟირების პროგრამა და IT Hub.

ინოვაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების პროექტის ფარგლებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამით ხელი უნდა შეეწყოს ისეთი სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაციას, რომლებიც უპასუხებენ ბაზრის საჭიროებებს. აღნიშნული პროგრამის ძირითადი განმახორციელებლები არიან მსოფლიო ბანკი და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. პროგრამის ფარგლებში კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე იდეების შესარჩევად ხორციელდება მათი დაკავშირება კვლევით ინსტიტუტებთან. შეფასებისთვის მიიღება მხოლოდ კვლევითი პროექტები, რომლებიც არიან ტექნოლოგიების მზაობის TRL4 და შემდეგ დონეზე. პროგრამის განხორციელების მიზნით სააგენტო ანახორციელებს შეხვედრებს უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში, რათა სწორად იქნას შერჩეული კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე პროექტები და განისაზღვროს მათი დაფინანსების საკითხი. ასევე ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების დახმარებით მოხდეს იმ პროექტების იდენტიფიცირება, რომელთაც აქვთ ტექნოლოგიური და კომერციული მზაობის შესაბამისი დონე (TRL4+) – კვლევითი კონტრაქტი, ინტელექტუალური საკუთრების კვლევა და დაცვა, ბაზრის ანალიზი და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრებთან თანამშრომლობის განვითარება, საერთაშორისო ურთიერთობების გასაძლიერებლად და ევროპულ ბაზარზე შესასვლელად.

გარდა ამისა, ინოვაციების და ტექნოლო-

გიების სააგენტომ საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებსა და ინოვაციების სააგენტოს ბენეფიციარ სტარტაპებს შორის განახორციელა სტაჟირების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს GITA-ას ბენეფიციარ სტარტაპ კომპანიებისა და ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტების დაკავშირებას. პროგრამის მიზანი ამ შემთხვევაშიც არის გაიზარდოს სტარტაპ ეკოსისტემაში ჩართული ადამიანების რიცხვი, ხელი შეუწყოს ეკოსისტემაში ახალგაზრდა ინოვატორების ჩართვასა და არსებული სტარტაპ კომპანიების განვითარებას, მოხდეს ანტრეპრენერული მიდგომების პოპულარიზება, განავითარდეს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარი უნივერსიტეტის სტუდენტებში და ხელი შეუწყოს მათ სამომავლო ინტეგრაციას შრომით ბაზარზე. ასევე, ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს EPAM და StrategEast პროგრამით ნავარაუდევია მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნა, კვალიფიციური კადრების რაოდენობის გაზრდა, ტექნოლოგიური მეწარმეობის შესაძლებლობების გაძლიერება და ადამიანური კაპიტალის განვითარება.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ 2014 წლიდან დღემდე რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, რომელთა შორის მნიშვნელოვანია: ბიზნეს ინკუბატორი, სტარტაპ მეგობრული, სტარტაპ ბითსი, IT ტრენინგები, ინოვაციური ბანაკი და სტარტაპ საქართველო.

„ბიზნეს ინკუბატორი“ (პირველად 2016 წლის ამოქმედდა) არის დამწყები ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამა [8], რომელიც ინოვაციური იდეის მქონე მეწარმეებს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა შეღავათიან პირობებში, გაიარონ საკუთარი ბიზნეს იდეის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი. პროგ-

რამა მიზნად ისახავს მონაწილე გუნდების ხელშეწყობასა და მათი ინოვაციური ბიზნეს იდეების წარმატებულ ბიზნესად განვითარებას. სააგენტო აქტიურად ახორციელებს ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებებით, კერძოდ: პროექტის მართვა, მარკეტინგი, ბიზნეს გეგმის ჩამოყალიბება და სხვა. ასევე, უწევს მათ კონსულტაციებს ფინანსურ, იურიდიულ, ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და სხვა საკითხებში. სტარტაპ ბიზნესების ხელშეწყობა და ბაზარზე მათი პოზიციონირება ზრდის ქვეყანაში სტარტაპ ეკოსისტემის წინსვლისა და ფორმირების არეალს. დამწყებ ბიზნესმენებს ჭირდებათ შანსი, იდეა აქციონ რეალურ პროდუქტად, გავიდნენ ბაზარზე და შექმნან კონკურენტუნარიანი ბიზნეს-გარემო.

პროგრამა „სტარტაპ მეგობრული“ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს პროექტია [7], რომლის მიზანია ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ინოვატორებისა და სტარტაპების სწრაფი განვითარების ხელშესაწყობად. პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით კომპანიებსა და სტარტაპებს შორის კომუნიკაციის მიზნით შეიქმნა პორტალი www.startupfriendly.gov.ge. პორტალის მეშვეობით, სტარტაპს აქვს საშუალება ისარგებლოს „სტარტაპ მეგობრულის“ ფარგლებში არსებული უპირატესობით და ასევე შეუძლია დააფიქსიროს თავისი საჭიროებები. მეორეს მხრივ, კომპანიებს ექნებათ საშუალება დარეგისტრირდნენ და წარადგინონ თავიანთი შეთავაზებები სტარტაპებისთვის.

სტარტაპ ბითსი ფარგლებში ხორციელდება რეგულარული შეხვედრები, სადაც სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანები, მათ შორის წარმატებული სტარტაპერები გამოცდილებას უზიარებენ და ინტერესებულ მხარეებს [9]. „Startup Beats“ ქართულად ნიშნავს, სტარტაპების გულის-

ცემას, დინამიკას. სწორედ ამ მიზნით არის მნიშვნელოვანი ქართული სტარტაპ საზოგადოების შექმნა და განვითარება. ამიტომ პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანია სტარტაპებს შორის საქმიანი ურთიერთობის გაძლიერება, სწორი კომუნიკაცია და გამოცდილების გაზიარება.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს საქმიანობაში მნიშვნელოვანია საინფორმაციო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობი პროექტების და პროგრამების სახელმწიფო ერთიანი პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა და კოორდინირება, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ინოვაციების ყველა სფეროში შეღწევის ხელშეწყობა და გამოყენების ეფექტურობის ამაღლება [11]. ამ მიზნით, სააგენტოს ინიციატივით შეიქმნა პორტალი, რომლის მიზანია საქართველოში არსებული IT სპეციალისტების ერთიან ბაზაში გაერთიანება, მათი დასაქმების ხელშეწყობა და კომერციალიზაცია. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სააგენტო ახორციელებს ტრენინგებს IT დისტანციური მხარდაჭერის, VOIP, Front-End, Java, Python, PHP, Android, iOS პროგრამირების, IT პროექტების და მათი ხარისხის მართვის, ასევე კიბერ უსაფრთხოების მიმართულებით. მიმართულებები შერჩეულია კვლევისა და მომხმარებელთა გამოკითხვის შემდეგ და პროექტის ფარგლებში, ამ მიმართულებით სულ გადაამზადდა 191 ტრენერი და 2500-მდე ადამიანი [10].

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ, ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების მიზნით, შეიმუშავა გეგმა ინოვაციური ბანაკი სახით, თუ როგორ გახდეს საქართველო რეგიონში ერთი საუკეთესო ადგილი სტარტაპის დასაარსებლად [12]. საქართველოს ქალაქებსა და კუთხეებში ტარდება სტარტაპ ბანაკები (Startup Boot Camp), რომელთა მთავარი მი-

ზანიც არის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და საქართველოს მოქალაქეებმა შექმნილი სამეროვანი გუნდი, ფარული ინოვაციების გამოვლენისა და მათი იდეების ბიზნესად ქცევის მიზნით საქართველოში. რაც ხელს ასევე, შეუწყობს საქართველოს ინოვაციების ეკოსისტემის განვითარებას და ადგილობრივ, დამწყებ მეწარმებს საშუალებას მისცემს გავიდნენ საერთაშორისო ბაზარზე. ბანაკი სამი მიმართულებით – ლოკალური, რეგიონული და საერთაშორისო დონეზე მოქმედებს. საერთაშორისო ბანაკის მიზანი კი, არის საქართველოს შესახებ ცნობადონის ამაღლება მსოფლიოს მასშტაბით და ქვეყნის პოზიციონირება რეგიონულ ჰაზად ინოვაციების მიმართულებით.

ჯერჯერობით ყველაზე პროდუქტიული პროგრამა „სტარტაპ საქართველო“, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შეიქმნა, რომელიც მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს [13]. პროგრამა ერთობლივად შემუშავდა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს და საპარტნიორო ფონდის მიერ და დამტკიცდა მთავრობის 2016 წლის 11 მაისის №206 დადგენილებით [2]. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში ინოვაციურ იდეებზე დაფუძნებული ბიზნესის განვითარებას და საერთაშორისო ბაზარზე გასვლას, რომელიც შედგება ორი ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური კომპონენტისგან. სააგენტოს მიერ დაფინანსებულია პროექტები სხვადასხვა მიმართულებებით: ავიაკოსმოსური წარმოება, ავტომობილები, ბიოტექნოლოგიები, ბიოინფორმატიკა, ხელოვნური ინტელექტი, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, რობოტიკა, ბირთვული ფიზიკა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, ნახევარგამტარები და ა.შ.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ფინანსებზე წვდომის მხარდაჭერის მიზნით ახორციელებს დაფინანსების პროგრამებს სტარტაპებისთვის, როგორც კომერციალიზაციის, ასევე კვლე-

ვა-განვითარების ეტაპზე. გრანტის ფარგლებში მოთხოვნილი თანხების ოდენობა დიფერენცირებულია (იხილეთ ცხრილი 1) მსხვილი, საშუალო და მცირე გრანტების მიხედვით.

ცხრილი №1. გრანტების საკვალიფიკაციო კრიტერიუმები

გრანტის ოდენობა (ლარი)	გრანტების მიმღები	წლიური ბრუნვა მლნ ლარი	თანადაფინანსება	დაფინანსება (ლარი)	პროექტის ხანგრძლივობა
650 000	ერთწლიანი რეგისტრაციის მქონე მეწარმე	30	ბიუჯეტის 50%	150 000–650 000–მდე	24 თვე
100 000	საქართველოს მოქალაქე	არ მოეთხოვება	არა	100 000–მდე	
5 000	საქართველოს მოქალაქე	არ მოეთხოვება	არა	5 000	

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინტერნეტ მასალებზე დაყრდნობით

სააგენტოს 5 000 ლარამდე მცირე გრანტების პროგრამის დაფინანსების მიზანია სტარტაპების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა, რომელიც სამი მიმართულებით ხორციელდება [20]: პროტოტიპის გრანტი, ღონისძიების და სამგზავრო გრანტი.

აღნიშნული მიმართულებით მცირე გრანტები გაიცემა პროტოტიპების შექმნის, დახვეწისა და გაუმჯობესების ან ჰაკათონების, მეიქათონების, კრეათონებს კრეატიული იდეის ბიზნეს-მოდელის შექმნის მიზნით, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობას ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით.

ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ თანადაფინანსების გრანტების პროგრამა 100 ათას ლარამდე პროექტი მეექვსედ გამოაცხადა (2020წ.), რომელიც მსოფლიო ბანკის პროექტის „ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის“ ფარგლებში ხორციელდება. პროექტის წინა ხუთი რაუნდის შემდეგ სულ დაფინანსდა 95 სტარტაპი, რომელთა ძირითადი მიზანი საქართველოში საერთაშორისო პოტენციალის მქონე ინოვაციური

პროდუქტებისა და მომსახურების შექმნა, კომერციალიზაცია და სტიმულირებაა. საგრანტო კონკურსისთვის განკუთვნილია ორი მილიონი ლარი [22].

650 000-ლარიანი გრანტების ორწლიან პროგრამას 2019 წლიდან ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით. სტარტაპების თანადაფინანსების გრანტების პროგრამის მიზანია, მოახდინოს ინოვაციების, ინოვაციური საწარმოების შექმნის სტიმულირება და ჩართვა ქვეყნის ეკონომიკაში. პროგრამის მეშვეობით, ქართული მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები, რომელთაც გააჩნიათ პოტენციური საკუთარი ინოვაცია განავითარონ და წარადგინონ მსოფლიოს დონეზე, მოახდენენ ინოვაციური პროდუქტის პოზიციონირებას გლობალურ ბაზარზე. საგრანტო პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდება გლობალური პოტენციალის მქონე პროდუქტი - ტექნოლოგიური, ან ბიზნეს-პროცესული ინოვაცია [21].

2016-2019 წლებში კონკურსის წესით, შერჩეული და დაფინანსებული 20-ზე მეტი სტარტაპი (იხილეთ ცხრილი 2). პროგრამის დაფინანსებაში ძირითადად მონაწილეობენ: ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თანადაფინანსების გრანტების პროგრამა და სტარტაპ საქართველო. სტარტაპ საქართველოს ძირითად სფეროებად გამოირჩევა: მედიცინის, Smart მოწყობილობების, განათ-

ლების სფეროები, რომელთა შორის ჭარბობს 100 000 ლარის დაფინანსების მქონე გრანტები. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად გრანტების რაოდენობა უფრო მეტი იყო, ხოლო მომდევნო წლებში არასტაბილურია დაფინანსებული პროექტების რაოდენობა. მნიშვნელოვანია დასაქმებულთა რიცხოვნობაც, რაც ასევე არათანაბარია და არ ვლინდება ზრდის ტენდენციები.


ცხრილი №2. სტარტაპ საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტები (2016-2019წწ)

	პროექტი	სფერო	დაფინანსება	დაარსების წელი	დასაქმებული
1	VADAC		90 000	2019	4
2	Qevvry		159 000	-	4
3	Eventals		100 000	-	4
4	Mydoc.chat	მედიცინა	100 000	-	7
5	Elven Technologies	უსაფრთხოება	100 000	-	4
6	Mydoc.chat	მედიცინა	100 000	-	7
7	Anima Chatbotics		100 000	2018	8
8	LiveCaller		100 000	-	7
9	Phubber		100 000	-	7
10	Ur App	VR		-	
11	TTM	Smart მოწყობილობები	110 810	-	4
12	Wely		100 000	-	5
13	IUGH Ltd	VR	100 000	-	3
14	WELI	განათლება	190 000	2017	6
15	Spy Recipe		100 000	-	
16	CLPHUB			-	
17	Traktor			-	9
18	Doers		250 000	2016	5
19	Mostat - Alien Green	VR	60 000	-	
20	Hostel Pro		100 000	-	
21	QuickCash AI		100 000	-	7
22	VRex Immersive	VR	200 000	-	4
23	Hand 4 Help	VR	100 000	-	3
24	EDVEX		100 000	-	3
25	Lingwing.com	განათლება	100 000	-	12
26	CNICK	Smart მოწყობილობები	100 000	-	5

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით

„სტარტაპ საქართველო“-ს პროექტზე სულ 700-ზე განაცხადი იქნა მიღებული, მათ შორის მაღალტექნოლოგიურ კომპონენტზეც. გრანტის ფარგლებში სულ გაცემულია 2 649 810 ლარი (იხილეთ დიაგრამა 1). როგორც დიაგრამიდან ჩანს, დაფინანსებაში არ შეინიშნება მკვეთრი ზრდა და რაც შეიძლება

დაკავშირებული იყოს მეწარმე ინოვატორების მხრიდან დაბალ ინტერესთან ან ინოვაციური პროექტების სიმცირესთან, ან კიდევ კომუნიკაციის არ არსებობასთან, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს იდეების გატანა ბაზარზე.



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ერთად მუშაობს მეწარმეობის ახალ მოდულზე, რომელიც რამდენიმე უმაღლეს სახელმწიფო და კერძო (ილის უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი და სხვ.) და პროფესიულ სასწავლებლებში „ფაბლაბების“ (Fab Lab (Fabrication Laboratory) – სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების დაფუძნება გულისხმობს, რომლებიც დაეხმარება მომზადებულ კადრებს, ადგილი დაიმკვიდრონ სწრაფად და მუდმივად ცვალებად საერთაშორისო და ადგილობრივ შრომის ბაზარზე. ტექნოპარკის ფაბლაბი, თავისი მასშტაბებით და დანადგარების სრული ციკლით, ადგილობრივ სტარტაპებს და ახალგაზრდა ინოვატორებს

საშუალებას აძლევს იდეების რეალიზება და ახალი წამოწყებების სრულყოფა მოახდინონ [14].

ტექნოპარკი წარმოადგენს ფიზიკურ სივრცეს, სადაც მობილიზებულია ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო, პროფესიონალური რესურსები და მიზნად ისახავს ემსახუროს საქართველოში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება, რომელიც აერთიანებს ინკუბატორებს, სასწავლო ცენტრებსა და ლაბორატორიებს. ბოლო მონაცემებით საქართველოში სულ 8 ტექნოპარკია [14].

ბოლო წლებში შეიცვალა ქართული კომპანიების საერთაშორისო ბაზრებით დაინტერესება და მათთვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის ევროკავშირის ბაზარზე ფართოდ გაავრცელონ საკუთარი ბიზნეს წინადადებები და მოიზიდონ შესაბამისი პარტნიორები [19]. მცირე ბიზნესის დახმარებისა და

ტექნოლოგიების გადაცემის საერთაშორისო ქსელებში ჩართვა, საერთაშორისო ქსელებში, მათ შორის (და პირველ რიგში) ევროპული ქსელები [Enterprise Europe Network, een.ec.europa.eu/] [18] ეხმარებიან ინოვაციურ საწარმოებს მზა გადაწყვეტების მოძიებასა და გამოყენებაში, ექსპერტიზის წვდომაში და ა.შ.

ასოცირებული ქვეყნის სტატუსის მინიჭების შემდეგ, საქართველოს 2016 წლიდან

აქვს წვდომა ევროკავშირის რამდენიმე პროგრამასა და ფინანსურ ინსტრუმენტზე, რომელთა შორისაა Enterprise Europe Network (EEN). EEN-ის ოფიციალური წარმომადგენლები არიან საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო და „აწარმოე საქართველოში“ კერძოდ, EEN-ის Business Cooperation Center (BCC). აღნიშნული ორგანიზაციები ეხმარებიან ქართულ კომპანიებს /სტარტაპებს საერთაშორისო პარტნიორების მოძიებაში.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო Startup Europe Regions Network (SERN)-ის წევრი 2017 წელს გახდა. SERN არის რეგიონების ქსელი, რომელიც მიმართულია სტარტაპების მხარდასაჭერად [15]. Horizon 2020 არის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის უმსხვილესი პროგრამა დაახლოებით 80 მილიარდი ევროს ბიუჯეტით, რომელიც 7 წლის მანძილზე (2014-2020) გრანტების სახით მოხმარდება სამეცნიერო თუ კვლევით აღმოჩენებს, გამოგონებებსა თუ ინოვაციებს და საუკეთესო იდეებს [16]. პროგრამის მისიაა ხელი შეუწყოს მეცნიერებას, უპასუხოს საზოგადოებრივ და ინდუსტრიულ გამოწვევებს.

GITA ხელს უწყობს რა, კრეატიული ინდუსტრიის ფორმირებას საქართველოში, შემოქმედებითი აზროვნების ამაღლებით განაპირობებს ინოვაციური ეკოსისტემის შექმნას ქვეყანაში. კრეატიული გარემო კი, გა-

ნაპირობებს ქვეყნის ინოვაციურ წინსვლას. საინფორმაციო ტექნოლოგიებში ზრდადი მოთხოვნა განპირობებულია ბაზარზე არსებული უსაზღვრო შესაძლებლობებით, რომელიც ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია საინფორმაციო ტექნოლოგიები წარმოადგენს გასაღებს მსოფლიოს ციფრული სამყაროს განვითარებაში.

საქართველოში ინოვაციის სფეროს ბაზრის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საინოვაციო პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულება საქართველოში მკვეთრად შეიცვალა; შეიქმნა წინაპირობები საქართველოში საინოვაციო მიმართულებით განვითარებისა და მთავრობის მხრიდან რიგი პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმისთვის. სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკის აქტიურად გასატარებლად შეიქმნა სახელმწიფო ინოვაციური ფონდი, საპარტნიორო ფონდი და სხვა, ასეთი სახელმწიფო ფონდების ეფექტიანი საქმიანობა კარგადაა ცნობილი ბევრ ქვეყანაში.

დასკვნები და რეკომენდაციები

როგორც შედეგებზე დაკვირვებით გამოვლინდა, თითქმის ყველა პროექტის მთავარი მიზანი კომერციალიზაცია და საერთაშორისო ბაზარზე გასვლის სურვილია. თუმცა ინოვაციური პროექტების კომერციალიზაციის აუცილებლობის მიზნით, მნიშვნელოვანია ზოგიერთი ღონისძიების განხორციელება. კერძოდ: საპატენტო უფლებების დაცვის მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით ქვეყანაში მიღებული კანონმდებლობის რეალურად ამოქმედება; სამეცნიერო სფეროს დაინტერესებისა და სტიმულირების ღონისძიებების კომპლექსური დამუშავება და კოორდინაცია; კერძო სექტორსა და განათლების სისტემას შორის კავშირის გაღრმავება; ცნობიერების გაზრდა და ინოვაციების კუთხით მეტი დაინტერესება; უკვე განხორ-

ციელებულ პროექტებზე მონიტორინგი მისი შემდგომი განვითარებისა და ბაზარზე დამკვიდრების მიზნით, ხოლო კრიზისის შემთხვევაში მათთვის სათანადო საკონსულტაციო დახმარების გაწევა.

საქართველოში ინოვაციური პოლიტი-

კის სრულყოფის და განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლება, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის წარმატებულ რეალიზაციას და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის განვითარებას.

REFERENCES/ ლიტერატურა

- [1] საქართველოს მთავრობის 2012 წლის 10 სექტემბრის N1722 განკარგულება. საინოვაციო კონცეფცია. გვ. 17
http://www.eap-csf.ge/images/doc/publikaciebi/Policy%20Paper_WG2_Inovacia.pdf
- [2] საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის №206 დადგენილება.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3730872?publication>
- [3] საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021 გვ. 37
<https://mrdi.gov.ge/pdf/5d148e85571f3.pdf/2018-2021>
- [4] შატბერდაშვილი ო. რეგიონალური საინოვაციო პოლიტიკა (გვ.12)
<https://old.inovdev.ge/old/uploads/files/94261Shatberash>
- [5] ქიქიაური ლ. ინოვაციური ეკოსისტემა - ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“. ტომი 7, N1, 2020 გვ.37
<http://iem.ge/ojs/index.php/journal/article/view/13/6>
- [6] <https://gita.gov.ge/geo/static/3>
- [7] <https://gita.gov.ge/geo/static/121>
- [8] <https://gita.gov.ge/geo/static/139>
- [9] <https://gita.gov.ge/geo/static/123>
- [10] <https://gita.gov.ge/geo/static/125/it>
- [11] <https://gita.gov.ge/geo/static/145>
- [12] <https://gita.gov.ge/geo/static/137>
- [13] <https://gita.gov.ge/geo/static/135>
- [14] <https://gita.gov.ge/geo/static/49/fablabebe>
- [15] <https://gita.gov.ge/geo/static/107>
- [16] <https://gita.gov.ge/geo/static/111/horizon-2020>
- [17] www.mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=10742
- [18] National Policy of Research, Development and Innovation for years 2009-2015. Pg 51
- [19] <https://gita.gov.ge/geo/static/105>
- [20] <https://gita.gov.ge/geo/static/127> 14. 03.202
- [21] <https://gita.gov.ge/geo/list/show/318--650-000-lariani-inovatsiuri-sagranto-programa-daitsko> 14.03.2021
- [22] <https://grants.gov.ge/ka/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98> E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%

JEL Classification: M120

DOI:10.46361/2449-2604.8.1.2021.77-87

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი: პრობლემები და პერსპექტივები

დავით ვეკუა

გურამ თავართქილაძის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
თბილისი, საქართველო
E-mail: david.vekua@yahoo.com
orcid.org /0000-0003-3933-7746

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ერთი მხრივ საქართველოს სადაზღვევო ბაზრის სირთულეები და გამოწვევები და მეორეს მხრივ კი მისი განვითარების და სრულყოფის პერსპექტივები.

სადაზღვევო ბაზარი წარმოადგენს ფინანსური მომსახურების უმნიშვნელოვანეს სექტორს, რომელიც ინტეგრირებულია თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში და არის ინვესტიციებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფინანსური წყარო. სადაზღვეო სექტორის განვითარება ზრდის მოსახლეობის სოციალური დაცულობის ხარისხს და შესაძლებლობას იძლევა გაღრმავდეს სახელმწიფოსთან მისი სოციალური და ეკონომიკური თანამშრომლობა.

სადაზღვევო ბაზარი, ისევე როგორც მთლიანად ფინანსური ბაზარი, მსოფლიოს ეკონომიკის უაღრესად დინამური და სწრაფად ზრდადი სექტორია, რომელშიც გლობალიზაციის შედეგად ერთგვრიან ახალი მონაწილეები, მარკეტინგის თანამედროვე ტექნოლოგიები, ინოვაციური სადაზღვევო პროდუქტები, რის შედეგადაც მსოფლიოს სადაზღვევო ბაზარი განიცდის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას და მოდერნიზაციას.

კვლევამ გვიჩვენა, რომ საერთაშორისო სადაზღვევო ბაზრიდან საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე წამოსული იმპერატივები აუცილებლად მოითხოვს ჩვენს სადაზღვევო ინდუსტრიაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპების ტრანსფორმაციას, რასაც უნდა მოყვეს საქართველოს სადაზღვევო ბიზნესში არსებული პარადიგმის სერიოზული კორექტირება. კვლევის ჩატარების პროცესში აქცენტი გაკეთდა საქართველოს სადაზღვევო ბაზრის თანამედროვე მდგომარეობაზე და იმ პრობლემებზე, რომლებიც აფერხებს სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარებას.

კვლევის მიზანია, წარმოვაჩინოთ საქართველოში სადაზღვევო ბაზარზე არსებული სირთულეები და მისი

განვითარების სამომავლო პერსპექტივები, ხოლო სიახლეს კი წარმოადგენს ანალიზის, დაკვირვების, ინდუქციური და დედუქციური მეთოდების გამოყენების შედეგად ჩამოყალიბებული ის დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა რეალიზაციის შედეგად შესაძლებელი იქნება სადაზღვევო ბაზრზე არსებული მდგომარეობის შემდგომი სრულყოფა და განვითარება.

შემოსულია რედაქციში:

თებერვალი, 2021

რეცენზირებულია:

მარტი, 2021

საკვანძო სიტყვები: სადაზღვევო ბაზარი, მოზიდული პრემია, რისკების დაზღვევა, ასანაზღაურებელი ზარალი, გადაზღვევა, სადაზღვევო კულტურა.

JEL Classification: M120

DOI:10.46361/2449-2604.8.1.2021.77-87

GEORGIAN INSURANCE MARKET: PROBLEMS AND PROSPECTS

DAVID VEKUA

Guram Tavartkiladze Tbilisi

Teaching University

Associate Professor

Tbilisi Georgia

E-mail: david.vekua@yahoo.com

orcid.org / 0000-0003-3933-7746

The aim of the given research is, on the one hand, to identify the problems and challenges of the Georgian insurance market and, on the other hand, to outline the prospects of its development and improvement.

Insurance market is one of the most important sectors of financial service, which is integrated in the system of contemporary economic relations and represents one of the significant financial sources for investing. Development of the insurance sector increases the social safety of the population and enables the enhancement of social and economic cooperation with the State.

Insurance market, like the entire financial market, is an extremely dynamic and rapidly increasing segment of the world economy. As a result of globalization, it has involved new participants, modern marketing technologies and innovative insurance products. Hence, the world's insurance market undergoes significant transformation and modernization.

Research has proved that the imperatives of the international insurance market imposed on Georgia require the transformation of stereotypes widespread in the country's insurance industry. This should be followed by significant correction in the current paradigm of Georgia's insurance industry. The given research focuses on the present state of the Georgian insurance market and the problems hampering the transformation of the insurance industry into an efficient system of protection of the population from possible risks.

The aim of the research is to identify the challenges of the Georgian insurance market and outline the prospects of its development. The novelty of the research consists in the conclusions and recommendations worked out on the basis of observation, as well as inductive and deductive methods. Implementation of these recommendations will enable further development and improvement of the insurance market.

Edited by:

February, 2021

Reviewed by:

March, 2021

შესავალი

დღეს, თანამედროვე მსოფლიოში, სადაზღვევო ბიზნესი წარმოგვიდგება, როგორც მასშტაბური რესურსების მფლობელი ფინანსური მომსახურების სექტორი, რომელსაც ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში აღარ აქვს შეზღუდული კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა. გლობალიზაციამ ერთის მხრივ მნიშვნელოვნად გაზარდა დაზღვევის, როგორც ფინანსური ბაზრის საივესტიციო შესაძლებლობები და მეორეს მხრივ დააჩქარა მისი სახელმწიფოებთან, როგორც სოციალური და ეკონომიკური პარტნიორთან თანამშრომლობის პროცესი. მექანიზმი, რომლითაც მთავრობამ სადაზღვევო ბიზნესზე ზემოქმედება შეუძლია მოახდინოს, არის ზედამხედველობა და მისი საკანონმდებლო რეგულირება. საკანონმდებლო სივრცის ლიბერალიზაციის, ამ პროცესის წარმატებული იმპლემენტაციის და სადაზღვევო ინსტრუმენტების გამოყენებით შესაძლებელია გაიზარდოს მოსახლეობის რისკებთან დაცვის ხარისხი და ამავე დროს სადაზღვევო ინდუსტრიაში გაჩნდეს ინვესტიციების მოზიდვა ახალი პერსპექტივა.

ლიტერატურის მიმოხილვა: ჩვენი ქვეყნის განვითარების დიალექტიკა, ეკონომიკური აქტიურობა და ეკონომიკის მოდერნიზება ყოველთვის ახალ გამოწვევებს უკავშირდება. ამ გამოწვევებს თავი ვერ სადაზღვევო ბიზნესმა დააღწია, ვინაიდან სადაზღვევო ბაზრის პრობლემეტიკა და რისკები მნიშვნელოვნად დაკავშირებულია სადაზღვევო ბიზნესის ინსტიტუციონალურ პრობლემებთან და მისი განვითარების პერსპექტივებთან. გლობალურ ეკონომიკაში მას შემდეგ, რაც აქტიურად დაიწყო საქართველოს ბიზნეს გარემოს ინტეგრაცია, რისკების დადგომის ალბათობა კიდევ უფრო ამაღლდა და გაიზარდა.

საქართველოში რისკების თავიდან აცილების, რისკის მართვის სტრატეგიის შერჩევის პროცესში, დღეს უკვე ბევრი ბიზნესმენი თუ რიგითი მოქალაქე კარგად აცნობიერებს, რომ რისკებიდან დამდგარი ზარალის მინიმიზაციის და რისკების პრევენციის საუკეთესო საშუალება დაზღვევაა. გარდა რისკებიდან დაცვის პრევენციისა, საქართველოში სადაზღვევო სისტემა უკვე ჩამოყალიბდა, როგორც ფინანსური ურთიერთობებზე ზემოქმედების მძლავრი ინსტრუმენტი, ხოლო სადაზღვევო კომპანიები კი ფინანსურად ძლიერ სააქციო საზოგადოებებად, რომლებიც საბანკო სექტროთან მჭიდრო თანამშრომლობის ფორმატით ანხორციელებენ ქართული ეკონომიკის ინვესტირებას და დაკრედიტებას.[6.გვ.61]

სადაზღვევო ბაზარი - ეს არის სოციალურ - ეკონომიკური გარემო, ეკონომიკური ურთიერთობების განსაკუთრებული სფერო, სადაც ყიდვა-გაყიდვის ობიექტად გამოდის სადაზღვევო დაცვა, ფორმირდება მასზე მოთხოვნილება და მიწოდება. სადაზღვევო ბაზარზე საქონლად გამოდის სადაზღვევო მომსახურება.[9.გვ. 322]

სადაზღვევო ბაზარი, ისევე როგორც მთლიანად ფინანსური ბაზარი მსოფლიოს ეკონომიკის უაღრესად დინამიური და სწრაფად ზრდადი სეგმენტია, სადაც გლობალიზაციის შედეგად შემოდინა ახალი მონაწილეები, მარკეტინგის თანამედროვე ტექნოლოგიები, ინოვაციური სადაზღვევო პროდუქტები, რის შედეგადაც მსოფლიოს სადაზღვევო ბაზარი განიცდის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას და მოდერნიზაციას.

განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით იზრდება მსოფლიო სადაზღვევო ბაზარზე აზიური სახელმწიფოების წილი. პირველ რიგში ეს ეხება ჩინეთს. ექსპერტული შეფასებებით 2026 წლისთვის ჩინეთი გახდება ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ ყველაზე

უფრო დიდი და კონკურენტუნარიანი სადაზღვევო ბაზარი. 2026 წლამდე აზიის კონტინენტზე (იაპონიის გამოკლებით) ყოველწლიური შემოსვლების ზრდა(მოზიდული პრემიის) სადაზღვევო სფეროში შეადგენს 7.3%-ს, მაშინ როდესაც დასავლეთ ევროპაში ასავე ექსპერტული შეფასებებით იგივე ინდიკატორი შეადგენს 2,9%-ს. [13.გვ.318]

კვლევის მეთოდოლოგია : კვლევის მიზანია წარმოვაჩინოთ საქართველოში სადაზღვევო ბაზარზე არსებული სირთულეები და მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივები, ამ მიზნით კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა ანალიზის, დაკვირვების, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები. ამ მეთოდების გამოყენებამ მოგვცა საშუალება უფრო სიღრმისეულად და კორელაციურად დაგვეჩვენა პრობლემები და შეგვესწავლა ის სირთულეები, რაც ხელს უშლის საქართველოში სადაზღვევო ბაზრის ინფრასტრუქტურის სრულყოფას და აფერხებს ქვეყანაში რისკებიდან თავის დაცვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას.

კვლევის შედეგი: საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, სახელმწიფო რეგულირება სადაზღვევო ბაზარზე რამოდენიმე მიმართულებით ხორციელდება: პირველი ეს არის სადაზღვევო ბაზრის კანონმდებლობით რეგულირება და მართვა; მეორე -სოციალური სადაზღვევო პროგრამების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება და მესამე - სახელმწიფო ბიუჯეტგარეშე სადაზღვევო ფონდების ჩამოყალიბება და მათი იმპლემენტაცია.

საქართველოში სადაზღვევო ბაზარზე სახელმწიფო რეგულირების სამივე ვექტორი სახეზეა: - პირველი - 1997 წელს მიღებულია კანონი „დაზღვევის შესახებ“, რომელიც არეგულირებს დაზღვევის სფეროში სამართლებრივ ურთიერთობებს;

- მეორე - სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2013 წლიდან მთავრობის დადგენილებით

საყოველთაო ჯამდაცვის პროგრამის ფარგლებში დაიწყო სამედიცინო ნოზოლოგიების დაფინანსება, რომელიც ადრე კერძო სამედიცინო დაზღვევით ფინანსდებოდა და რამაც სადაზღვევო ბაზრს, კერძო სამედიცინო დაზღვევის მიმართულებით საკმაოდ მნიშვნელოვანი კონტიგენტი დაათმობინა; - მესამე - 2018 წელს მიღებულია კანონი, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“, რომელმაც მოსახლეობის დაბალი მსყიდველობის უნარიანობიდან გამომდინარე სადაზღვევო კომპანიებს კერძო საპენსიო დაზღვევის მსურველთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შეუმცირა. ამ კანონის თანახმად, საპენსიო დაზღვევა სავალდებულოა და მისი არქიტექტონიკა, არა თაობათა სოლიდარობის პრინციპზე, როგორც ეს ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებშია ორგანიზებული, არამედ პენსიის დაგროვების პრონციპზეა მორგებული.

დაგროვებითი პენსიის სქემა არ იძლევა საშუალებას დაზღვევის დახმარებით გაუმჯობესდეს დღეს არსებული პესსიონესთა მდგომარეობა, ხოლო რაც შეეხება მომავალ დანაზოგებს აქ ბევრი ისეთ რისკებია, რომელთანაც გამკლავებას დიდი დაკვერვება და შორსმჭვრეტელობა სჭირდება, ვინაიდან სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო მოდელი ბევრ ხიფათს შეიცავს მაღალითად: ინფლიაცია, სავალუტო რისკები, ეკონომიკური კრიზისები, პანდემია და სხვა.

სამართლიანი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება, არის საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშის მიხედვით, 2020 წლის 9 თვის მონაცემებით ბაზარზე 18 სადაზღვევო კომპანია ფუნქციონირებს, ამავე პერიოდში სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგება 44,3 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მოზიდულმა პრემიამ - 513,4 მლნ ლარი. წინა წლის ანალოგიურ პერიოდ-

თან შედარებით მოზიდულმა პრემიების მოცულობა გაზრდილია 6.7 %-ით. დაზღვევის სახეობებიდან მოზიდული პრემიების მიხედვით ყველაზე დიდი წილი სამედიცინო დაზღვევაზე მოდის (41,2 %).[14]

მიუხედავად იმისა, რომ სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში დინამიურად ვითარდება მისი წილი ქვეყნის ეკონომიკაში ჯერ კიდევ მცირეა, 2020 წლის 9 თვის მონაცემებით თუ მთლიანი სადაზღვევო პრემიის მოცულობას შეუფარდებთ მთლიან შიდა პროდუქტს, ეს მაჩვენებელი იქნება - 1,15%.[15], მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნებში 7-8%-ია. ევროპის დაზღვევისა და გადაზღვევის ფედერაციის (Insurance Europe) ბოლო ანგარიშის მიხედვით, 2015 წელს დაზღვევის პენეტრაცია (მთლიანი მოზიდული პრემიის ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან) საშუალოდ 7,4%-ია და ვარირებს 0,9%-ს(ლატვია) და 11,4%-ს(ფინეთი) შორის.[12]

სამართლიანი კონკურენციას, საქართველოს სადაზღვევო ბაზრიზე მნიშვნელოვნად აფერხებს მსხვილ სადაზღვევო კომპანიების ხელში კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი. იმის გამო, რომ ბაზარი სუსტად დივერსიფიცირებულია მნიშვნელოვანი სადაზღვევო ფინანსური რესურსები თავს იყრის რამოდენიმე კომპანიის ხელში. ასე მაგალითად: 2020 წლის 9 თვის მონაცემებით ბაზარზე მოქმედი 18 სადაზღვევო კომპანიიდან ოთხზე: ჯიპიაი ჰოლდინგზე, ალდაგზე, თბისი დაზღვევაზე, და იმედიLზე მთლიანად ინდუსტრიაში გამომუშავებული პრემიიდან 60,1% მოდის.[14]

მცირეა სადაზღვევო ბაზარზე სადაზღვევო კომპანიების მიერ მომხმარებლებისთვის შეთავაზებული სადაზღვევო პროდუქტების ასორტიმენტი. 2020 წლის 9 თვის მონაცემებით სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული პრემიის 41% სამედიცინო დაზღვე-

ვაზე მოდის. აქედან ნახევარზე მეტი ორ კომპანიის ჯიპიაი ჰოლდინგის - 29% და იმედი L-ს - 24% მიერაა მოზიდულია. მოზიდული პრემიების ხვედრითი წელის მიხედვით მეორეა სახმელეთო ავტოტრანსპორტის დაზღვევა, სადაც ამავე სანგარიშო პერიოდში მოზიდულია მთლიანი პრემიის 15,3%. ავტოტრანსპორტის დაზღვევაში ლიდერობს თბისი დაზღვევა, რომელსაც ბაზრის ამ სეგმენტის 23% უკავია, შემდეგია ალდაგი-19% და ჯიპიაი ჰოლდინგი -17%.[14]

საქართველოში სადაზღვევო ბიზნესში სამართლიანი კონკურენციის პირობების ჩამოყალიბებაზე ბევრი კორელაციური(ურთიერთდაკავშირებული) ფაქტორი ზემოქმედებს, მათ შორისაა: ბაზრის მონაწილეთა რესურსული შესაძლებლობები, სადაზღვევო კომპანიების ბაზარზე ოპერირების ტრადიციები და გამოცდილება, სადაზღვევო პროდუქტების ასორტიმენტი და ხარისხი, ბაზრის სახელმწიფო რეგულაციის დონე და ხასიათი, მომხმარებელთა ინფორმაციული უზრუნველყოფა და სხვა.

უსამართლობა, კონკურენციის პირობებში პირველ რიგში ბაზრის მონაწილეთა ქონებრივი და ფინანსური აქტივების რაოდენობითა და ხარისხით არის განპირობებული. ფინანსურად ძლიერ სადაზღვევო კომპანიებს მეტი შანსები აქვთ სადაზღვევო პროდუქტებზე ფასებით მანიპულირების და რეგულირების, წარმატებული რეკლამისა და პიარის განხორციელების, მენეჯმენტის და მარკეტინგის სრულყოფის, კონკურენტების ბაზრიდან განდევნის მიზნით სხვა მონაწილეებთან სხვადასხვა ტიპის მორიგებებისა და შეთანხმებების დადების და სხვა.

გარდა ფინანსური რესურსების სიმცირისა, თანამედროვე მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროში საქართველოში სადაზღვევო ინდუსტრია აწყდება ინტელექტუალურ და ორგანიზაციულ სირთულეებსაც. ეს ისე

არ უნდა გავიგოთ, თითქოს საქართველოში არ არის ამ სფეროში კვალიფიციური სპეციალისტები, წარმატების სულრვილი ან მონდომება. რა თქმა უნდა არა. საქართველოში სადაზღვევო ინდუსტრია ფლობს გარკვეულ ინტელექტუალურ პოტენციალს მათ შორის ბევრი ახალგაზრდა პერსპექტიული მენეჯერი, მაგრამ ხშირად ინოვაციური საქმიანობა შემდგომში ვეღარ ვითარდება, რადგან ფერხდება ახალი სადაზღვევო პროდუქტების ბაზრისთვის თავისდროული შეთავაზება. არადა სწორედ ეს გარემოებაა ინვესტორისთვის გადაწყვეტილების მიღების აუცილებელი პირობა. რადგან სადაზღვევო ბიზნესი, მაღალ რისკებს შეიცავს და ამის გამო ის მაღალ შემოსავლებზეა გათვლილი.

უკანასკნელი წლებია აშკარად ჩანს, რომ საქართველოში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას პრობლემები არა მარტო სადაზღვევო პროდუქტების პოტენციალურ მომხმარებელთა შემოსავლიანობის დაბალი დონით და სადაზღვევო კულტურის სუსტი ტრადიციებით არის განპირობებული, არამედ სადაზღვევო კომპანიებში კვალიფიციური ანდერრაიტერების და აქტუარების ნაკლებობითაც, რის გამოც ხშირად ვერ ხერხდება სადაზღვევო კომპანიებში რისკების პროფესიონალური მართვა და განვითარების სტრატეგიის შემუშავება.

საქართველოში სადაზღვევო ბაზრის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა აგროდაზღვევა. მთავარი პრობლემა, რომელიც აფერხებს სადაზღვევო ბაზრის ამ სეგმენტის განვითარებას არის, ერთის მხრივ მცირე ფერმერთა მხრიდან ზარალების აუნაზღაურებლობის რისკების შიში და მეორეს მხრივ ფერმერთა ხელთ არსებული ფინანსური რესურსების სიმცირე. მცირეა იმ აგრორისკების ჩამონათვალი (სეტყვა, ქარი, ჭარბი ნალექი, ყინვა), რასაც სადაზღვევო კომპანიები ანაზღაურებენ, ხო-

ლო ფერმერთა მხრიდან მოთხოვნადი ისეთი აგრორისკების დაზღვევა, როგორცაა გვალვა, არასეზონური ყინვები და სხვა, სადაზღვევო კომპანიების მიერ არ ანაზღაურდება. სადაზღვევო ურთიერთობების განვითარებას აფერხებს ასევე საჯარო რეესტრში მიწების საკუთრებაში დაურეგისტრილობის პრობლემა. ამის გამო ბევრი ფერმერი რჩება სადაზღვევო მომსახურების გარეშე. ხშირია დავები ზარალების შეფასებასთან დაკავშირებითაც.

დასავლეთში არსებობს დიდი ტრადიცია სიცოცხლის დაზღვევის იგი მოიცავს დაზღვევის სახეობთა მთელ ასორტიმენტს, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული, სადაც დაზღვევის მთავარი ფიგურანტი (ანუ ობიექტი) არის დაზღვეული პიროვნება ან მისი ოჯახი, ნათესავები, საქმიანი პარტნიორები. დასავლეთში ეს ინტერესი საბაზრო ეკონომიკის ევოლუციის ხონგრძლივი პროცესის შედეგად და მასთან დაკავშირებულ რისკების გაჩენასთან ერთდ ჩამოყალიბდა.

სიცოცხლის დაზღვევა მსოფლიო სადაზღვევო ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი, კომბინირებული და ტრადიციული პროდუქტია, სამწუხაროდ მრავალ მიზეზთა გამო ის საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ბევრი წელია ნაკლებად გაყიდვადია. ეს პირველ რიგში მოსახლეობის უმუშევრობის მაღალი და შრომის ანაზღაურების დაბალი დონით არის განპირობებული. თუმცა გარდა მოსახლეობაში ფინანსური რესურსების სიმცირისა ეს მენტალური პრობლემაა. 2020 წლის 9 თვის მონაცემებით სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული პრემიის მხოლოდ 7% მოდის სიცოცხლის დაზღვევაზე, აქედან თითქმის ნახევარ მოდის სადაზღვევო კომპანიის თბისი დაზღვევაზე და 27% ალდაგზე.[14]

ამ ორი სადაზღვევო კომპანიისთან და-

კავშირებული არიან საქართველოს ორი უმსხვილესი ბანკი თიბისი და საქართველოს ბანკი, რომლებიც იმ ფიზიკურ პირებს, ვინც იღებს სესხს ამ ბანკებიდან სთხოვენ დაზღვიონ სიცოცხლე ზიმოთ ჩამოთვლილ სადაზღვევო კომპანიებში. ამ შესაძლებლობას მათ კანონი აძლევთ, და რადგან ეს ასეა, მათი მოტივაცია სრულიად ნათელია გაზარდონ მათთან დაკავშირებული სადაზღვევო კომპანიების აქტივების ღირებულება და მიიღონ მეტი მოგება. სადაზღვევო ბაზარზე ამ ბრძოლაში გამოყენებულია, როგორც სამართლიანი კონკურენციის ასევე არასამართლიანი კონკურენციის ზოგიერთი მეთოდი, რომელსაც მეშვეობითაც კონკურენტულ ბრძოლაში სადაზღვევო კომპანიები რომლებიც არიან ბანკების „ქოლგის ქვეშ“ იღებენ(რიგ შემთხვევებში დაუმსახურებელ) უპირატესობას. სადაზღვევო პროდუქტისთვის ბრძოლაში ბაზარზე უპირატესობის მოპოვება ხდება უმეტეს შემთხვევაში არა მომხმარებლისთვის უკეთესი სადაზღვევო მომსახურების შეთავაზებით, არამედ შიდა კორპორაციული მექანიზმების გამოყენებით, რომლის შემდეგაც(ამ უპირატესობის გამოყენების შედეგად) მიმდინარეობს მიზანმიმართულად სადაზღვევო ბაზრიდან კონკურენტების გამოდევნის და მომხმარებლებზე საკუთარი პირობების მოხვევის პროცესი.

საქართველოში ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა სადაზღვევო ბაზრის განვითარების ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა. გარდა იმისა, რომ ის მილონზე მეტ მანქანას დაზღვევებს საქართველოში და დიდ ფინანსური რესურსების მოზიდვის შესაძლებლობას მისცემს სადაზღვევო კომპანიებს, ასევე დაზღვევის ამ სახეობის იმპლემენტაციას ექნება სოციალური დაცვის მნიშვნელობა, ვინაიდან ავტომფლობელებს

აღარ მოუწევთ ავტოავარიებისა და სხვა დაზღვევის პირობებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ზარალების ანაზღაურება საკუთარი ჯიბიდან.

2020 წლის 9 თვის მონაცემებით, სადაზღვევო ბაზარზე მნიშვნელოვნად გააქტიურებულია სადაზღვევის პროცესი. სადაზღვეულია 102, 9 მილიონი ლარი სადაზღვევო მომსახურება და წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედერებით ეს მაჩვენებელი გაზარდილია 6,4 პროცენტული პუნქტით. 2020 წლის 9 თვის მონაცემებით სადაზღვევაზე გადახდილმა თანხებმა მთლიან მოზიდულ პრემიებთან მართებაში შეადგანა 21%. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდნენ სადაზღვევო კომპანიები ჰუალინგ დაზღვევა და უნისონი, სადაც სადაზღვევის წილმა მოზიდულ პრემიებთან მიმართებაში შეადგინა შესაბამისად 69% და 57%[14].

თუ სადაზღვევას სადაზღვევო პროდუქტების ჭრილში განვიხილავთ ვნახავთ, რომ ძირითადად სადაზღვევა ხდება ქონების, ტრანსპორტის და ტვერთების, ანუ იქ სადაც ზარალების დადგომის სიხშირე და მოსალოდნელი ზარალების სიდიდე მაღალია.

სადაზღვევო ბიზნესი, როგორც ფინანსური შუამავალი, გარდა მისი უშუალო ფუნქციისა, რასაც წარმოადგენს დაზღვეულთა ფინანსური და ქონებრივი ინტერესების დაცვა, აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკის ინვესტირების პროცესშიც. 2019 წელს საქართველოს სადაზღვევო კომპანიებმა ინვესტიციებიდან მიიღეს შემოსავალი 19,6 მილ.ლარი აქედან 74, 2% ამ შემოსავლისა არის საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები[14]. ვფიქრობთ, რომ ინვესტიციებიდან მიიღებულ შემოსავლებში დეპოზიტების ასეთი მაღალი ხვედრითი წილი განპირობებულია, როგორც მენეჯმენტის გადამეტებული სიფრთხილით, ასევე ბეზ-

ნესწრების მხრიდან, სადაზღვევო კომპანიებისადმი ნაკლებად საინტერესო საინვესტიციო წინადადების შეთავაზებით.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურასა და განვითარების ვექტორებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახენს საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი. საქართველოსა და ევროკავშირის შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულება სადაზღვევო ინდუსტრიას უყენებს ახალ მოთხოვნებს, რომლებიც სამ ძირითად მოთხოვნად შეიძლება დავაჯგუფოთ :

1. ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის კანონის მიღება და მისი იმპლემენტაცია;
2. სადაზღვევო სისტემის ფინანსური მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის ამაღლება;
3. მომხმარებელთა უფლებების დასაცავის ხარისხის გაუმჯობესება.

ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის კანონის მიღება, უზრუნველყოფს სადაზღვევო ინდუსტრიაში დამატებითი ფინანსური ნაკადების შემოდინებას და კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, ევროკავშირის საკანონმდებლო სივრცესთან საქართველოს დაახლოვების.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის თანახმად, სადაზღვევო კომპანიებმა უკეთ ისწავლეს რისკების მართვა და სადაზღვევო პროდუქტების მარკეტინგი, რის შედეგადაც წლიდან წლამდე იზრდება სისტემის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები, კერძოდ თუ 2015 წელს ინდუსტრიაში წმინდა მოგება შეადგენდა მხოლოდ 2,6 მილ. ლარს, 2019 წლის მონაცემებით მან შეადგინა 25,1 მილ.ლარი.[14]

ასევე გათვალისწინებულია ევროკავში-

რის მოთხოვნა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებითაც, 2022 წლიდან საქართველოს სადაზღვევო კომპანიებს საწესდებო კაპიტალის მოცულობა გაეზრდებათ 4,2 მილ. ლარიდან - 7.0 მილ. ლ, არამდე. [14]

დასკვნები და რეკომენდაციები:

ამრიგად, როგორც კვლევამ გვიჩვენა საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრია ინტენსიურად ვითარდება და დაზღვევა, როგორც საიმედო მექანიზმი იცავს ადამიანების ქონებრივ და პირად ინტერესს. დინამიურად იზრდება საქართველოს ეკონომიკაში დაზღვევის საკრედიტო და საინვესტიციო შესაძლებლობები. ძალზედ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თანმიმდევრულად მიმდინარეობს საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ევროკავშირის სადაზღვევო სივრცესთან ადაპტაციის პროცესი. ამასთან ერთად:

ბაზარზე მსხვილ სადაზღვევო კომპანიების მიერ სადაზღვევო მომსახურების მაღალი კონცენტრაციისა გამო ვერ ხორციელდება სადაზღვევო ინდუსტრიის სტაბილური განვითარება, მცირდება სადაზღვევო ბიზნესის დივერსიფიკაციის ხარისხი, ფერხდება ბაზარზე ახალი სუბიექტებს შემოსვლა, რის გამოც კლებულობს ფინანსური მომსახურების ამ სექტორში საინვესტიციო შეთავაზებები და სადაზღვევო პროდუქტების გადანაწილების პროცესში რთულდება სამართლიანობისა და გამჭვირვალობის ხარისხის უზრუნველყოფა;

მენეჯმენტში თავს იჩენს სირთულეები, რადგან სადაზღვევო კომპანიების დიდი ნაწილი ყოველდღიური ოპერატიული საქმიანობით არიან დაკავებული და ნაკლები დრო ეთმობა განვითარების სტრატეგის ჩამოყალიბებას, ინვესტიციების მოზიდვის და ახალი სადაზღვევო პროდუქტების შექმნის

მიზნით საინტერესო და ინოვაციური წინადადებების მომზადებას;

მიზანშეწონილია, მომავალში სადაზღვევო კომპანიების მხარდაჭერით და განათლების სამინისტროს ხელშეწყობით, უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალობაზე: „ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა“ გაძლიერდეს ანდრერაიტინგისა და რისკების მართვის მიმართულებით სწავლება, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს, ამ ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტებით, სადაზღვევო კომპანიების დაკომპლექტებას;

საქართველოში აგროდაზღვევის სფეროში დაგროვილი პრობლემები გვიჩვენებს, რომ დაზღვევის ამ სფეროს განვითარებისათვის, აუცილებელია სწორედ მცირე ფერმერთა ფინანსური დახმარების მიზნით სახელმწიფოს თანამონაწილეობის სისტემის დახვეწა და სადაზღვევო კომპანიების მხრიდან რისკის კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. საჭიროა გაიზარდოს სადაზღვევო პროდუქტების ასორტიმენტი. დაჩქარდეს ფერმერთა მხრიდან საკუთრებაში მიწების საჯარო რეგისტრაციის პროცესი. აქტიურად დაიწყოს აგრო პროდუქტების ზარალების შეფასების საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა;

ვფიქრობთ, მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის ზრდასა და სადაზღვევო კულტურის ამაღლებასთან ერთად სიცოცხლის დაზღვევა მომავალში ჩვენი სადაზღვევო ბაზრისთვისაც საინტერესო პროდუქტი გახდება;

სადაზღვევო ბაზარის ზრდას და ინდუსტრიაში დამატებითი ფინანსური ნაკადების შემოდინებას მნიშვნელოვნად გაზრდის ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის კანონის მიღება და მისი იმპლემენტაცია;

სადაზღვევო ბაზარზე გადაზღვევული პროდუქტების ზრდის ტენდენცია უდაოდ პოზიტიურად უნდა შეფასდეს, რადგან ასეთ დროს გარდა ზარალების ანაზღაურების მაღალი გარანტიისა ჩნდება შესაძლებლობა სადაზღვევო კომპანიებს გამოუნთავისუფლდეთ მეტი დროებით თავისუფალი ფინანსური რასურსები. საქართველოს ბაზარზე მომქმედი გადამზღვეველები არიან საერთაშორისო სადაზღვევო ბაზრისთვის ცნობილი კომპანიები. მათი ცნობადობა ზრდის გადაზღვევისადმი ნდობას და სტაბილურობის შეგრძნებას, რაც ასე მნიშვნელოვანია სადაზღვევო ბაზრის განვითარებისათვის ;

კლიენტურის გაფართოება და მომხმარებლებისთვის ახალი ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება სადაზღვევო ბაზარზე ახალ სადაზღვევო სერვისებზე მოთხოვნის ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. ეს შესაძლებელია მოქნილი ანდრერაიტინგის , ბრენდინგის და მარკეტინგის სრულყოფის შედეგად. ამავე დროს დარგისთვის, როგორც ფინანსური მომსახურების ინდუსტრიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სადაზღვევო მომსახურების კულტურის სრულყოფა. დაზღვეულები კომპანიებთან ურთიეთობის დროს უნდა გრძნობდნენ ყურადღებას და თავაზიანობას .დაზღვეულებისთვის ისინი უნდა იყვნენ არა მარტო მათი ფინანსური არამედ მორალური რისკების თანამონაწილეებიც;

ერთი რამ ცხადია, გლობალიზაციისა და საერთაშორისო სადაზღვევო ბაზრიდან წამოსული ზემოქმედების ტალღები მოითხოვს ჩვენ სადაზღვევო ინდუსტრიაში სერიუზულ გარდაქმნებს, რასაც აუცილებლად მოყვება საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე დღეს დამკვიდრებული სტერეოტიპების სერიოზული ტრანსფორმაცია.

REFERNCES /ლიტერატურა

- [1] საქართველოს კანონი, მეწარმეთა შესახებ, კონსოლიდირებული პუბლიკაცია. თბილისი 2019 წ.
- [2] საქართველომ კანონი ,, კონკურენციის შესახებ”. თბილისი 2014 წ.
- [3] საქართველოს კანონი ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ,”თბილისი 2005 წ.
- [4] საქართველოს კანონი,,დაზღვევის შესახებ” თბილისი1996 წ.
- [5] **გოგოლაშვილი გ.** სადაზღვევო საქმე . თბილისი 2010 წ;
- [6] **ვეკუა დ.** საქართველოში სადაზღვევო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ტენდენციები და მისი განვითარების თავისებურებები.გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული. თბილისი, 2012, გვ, 61
- [7] **ვეკუა დ., ვეკუა ი.,** საქართველოში მოსახლეობის სოციალური დაზღვევის მაკროეკონომიკური რეგულირების გზები და მიმართულებები. თბ., 2013
- [8] **სიმონია თ.,** სადაზღვევო ბიზნესის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში, ავტორეფერატი, თბილისი, 2016
- [9] **შათირიშვილი ჯ., კაკაშვილი ნ.,** სადაზღვევო საქმე თბილისი 2012, გვ. 322-323
- [10] **ცერცვაძე ა., ხანთაძე., ვეკუა დ.,** სადაზღვევო საქმე. თბ, 2016
- [11] **ჯანელიძე დ.** დაზღვევის ფორმირებისა და მართვის სრულყოფის მიმართულებები საერთაშორისო ბიზნესში. თბ., 2018
- [12] EUROPE FOR GEORGIA სადაზღვევო ბაზარი ძირეული ცვლილებებისთვის ემზადება. თბილისი 2017 წ. <http://eugeorgia.info/ka/article/607/sadazgvevo-bazari-dzireuli-cvlilebebisvis-emzadeba/>
- [13] Нуруллаев А. Мировой страховой рынок и тенденции его развития ст. 318-319 www.tsue.uz
- [14] www.Insurance.gov.ge (სტატისტიკა)
- [15] www.geostat.ge

JEL Classification: Q23

DOI:10.46361/2449-2604.8.1.2021.88-101

ოქსანა დერბოტ

ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
უკრაინის სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი
კიევი, უკრაინა
E-mail: drebot_oksana@ukr.net
orcid.org 0000-0003-2681-1074

ვიტალი სერჟანოვი

ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი,
უჟგოროდის ეროვნული
უნივერსიტეტის პროფესორი
უჟგოროდი, უკრაინა
E-mail: vitaliy.serzhanov@uzhnu.edu.ua
orcid.org 0000-0002-0577-4422

მარია ვისოჩანსკაია

ეკონომიკის დოქტორი,
აგროეკოლოგიისა და გარემოს
მართვის ინსტიტუტი,
დირექტორის მოადგილე
სამეცნიერო დარგში
კიევი, უკრაინა
E-mail: mariya_vysochanska@ukr.net
orcid.org 0000-0003-2116-9991

რეგიონულ დონეზე სათვით მართვების ეკოლოგიური და ეკონომიკური ფუნქციების განხილვის მეთოდები

ნაშრომში შემუშავებულია ტყის მიწების ეკოლოგიური და ეკონომიკური შეფასების ალგორითმი. ალგორითმის გამოყენებით განისაზღვრა ტყის მიწების ეკოლოგიური და ეკონომიკური შეფასების მეთოდოლოგიური მიდგომა. განხილულია ტყის გამოყენების ინდიკატორები ადგილობრივ დონეზე (მიწის ნაკვეთი). განისაზღვრა 1 ჰექტარი ტყის მიწის ეკოლოგიური და ეკონომიკური შეფასების შედეგები, აგრეთვე ტყის მიწის შეფასება ფერმერული მეურნეობების დონეზე. დადგენილია, რომ მიწების ეკოლოგიური და ეკონომიკური შეფასების რაოდენობრივ გამოხატვაზე გავლენას ახდენს ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა ხის სახეობები, ჭრის რეალური ასაკი, ხეების პოტენციური მარაგი ჭრის ასაკში, ფულადი ღირებულება და ძირითადი ჭრის ასაკი, ტყის ხარჯი ძირითადი ჭრის წინ, სატყეო საქმიანობის ტიპი. გარკვეულმა გარემომ, ეკონომიკურმა და სოციალურმა ეფექტებმა, რომლებიც მჭიდრო კავშირშია, შეიძლება შეავსონ და გარდაქმნან ერთმანეთი, ამიტომ საჭიროა მათი განხილვა ურთიერთქმედებასა და ურთიერთდამოკიდებულებაში. გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესების საჭიროება მოითხოვს ტყის რესურსების გამრავლების, სატყეო მეურნეობის, ტყის მენეჯმენტისა და ტყის რესურსების დამუშავების არეების ანალიტიკურ შეფასებას.

ტყის მიწების ეკოლოგიური და ეკონომიკური შეფასების შემოთავაზებული მეთოდი ითვალისწინებს ტყის რესურსების თვისებებს, მიწის ნაკვეთების რაციონალურსტრუქტურას, ტყის მიწების გამოყენებიდან გამომდინარე ტყის მიწის ერთ ფართობზე მიღებულ ეკონომიკურ ეფექტს.

დადგენილია, რომ მიწის ნაკვეთის ეკოლოგიური და ეკონომიკური შეფასების რაოდენობრივ გამოხატვაზე

ლუდმილა სახარნაცკაია

ეკონომიკის დოქტორი,
უჟგოროდის ეროვნული
უნივერსიტეტის პროფესორი
უჟგოროდი, უკრაინა
E-mail: liudmyla.sakharnatska@uzhnu.edu.ua
orcid.org 0000-0002-5863-4917

ოლეგ იარემკო

ეკონომიკის დოქტორი,
ტერნოპოლის ოლქის სატყეო
და ნადირობის დეპარტამენტის
დირექტორი
ტერნოპოლი, უკრაინა
E-mail: OYaremko@i.ua
orcid.org 0000-0003-4619-0527

ანდრეი ბოცულა

ეკონომიკის დოქტორი,
აგროეკოლოგიისა და გარემოს მართვის
ინსტიტუტი,
აგროეკოლოგია და ბიოუსაფრთხოების
კათედრის გამგე
კიევი, უკრაინა
E-mail: botsulaiap@ukr.net
orcid.org 0000-0001-7047-0102

შემოსულია რედაქციში:

თებერვალი, 2021

რეცენზირებულია:

მარტი, 2021

გავლენას ახდენს ისეთი ინდიკატორები, როგორცაა ხის სახეობები, ჭრის რეალური ასაკი, ტყის პოტენციური ხის მარაგი ჭრის ასაკში და ფულადი ღირებულება. დგომა ძირითადი ჭრის ასაკში, ძირითადი ჭრის ასაკამდე დადგომა, ტყის მართვის ტიპი.

საკვანძო სიტყვები: ეკოლოგიური და ეკონომიკური შეფასება, სატყეო მიწები, ბუნებრივი რესურსები, ქირა, ეკონომიკური ეფექტი, მეთოდოლოგია.

JEL Classification: Q23
DOI:10.46361/2449-2604.8.1.2021.88-101

OKSANA DREBOT

Doctor of Economics Sciences, Professor,
Academician of NAAS,
Director Institute of Agroecology and
Environment management of NAAS
(Kyiv, Ukraine)
E-mail: drebot_oksana@ukr.net
orcid.org 0000-0003-2681-1074

VITALIY SERZHANOV

Doctor of Economics Sciences,
Associate Professor,
Uzhhorod National University
University
Uzhhorod, Ukraine
E-mail: vitaliy.serzhanov@uzhnu.edu.ua
orcid.org 0000-0002-0577-4422

MARIYA VYSOCHANSKA

PhD in Economics, Deputy Director for
Research and Innovation
Institute of Agroecology and
Environment management of NAAS
(Kyiv, Ukraine)
E-mail: mariya_vysochanska@ukr.net
orcid.org 0000-0003-2116-9991

LIUDMYLA SAKHARNATSKA

PhD in Economics, Deputy Dean
for Educational Work of the Faculty
of Economics Uzhgorod National
University (Uzhhorod, Ukraine)
E-mail: liudmyla.sakharnatska@uzhnu.
edu.ua
orcid.org 0000-0002-5863-4917

METHODS OF CALCULATION OF ECOLOGICAL AND ECONOMIC FUNCTIONS OF LAND FOREST ASSIGNMENT AT LEVEL OF REGION

An algorithm for conducting ecological and economic assessment of forestry lands has been developed. The methodological approach of ecological and economic assessment of forest lands is determined with the help of the algorithm. Indicators of forest use at the local level (land plot) are analyzed. The results of ecological and economic assessment of 1 ha of forest lands, as well as assessment of forest lands at the farm level are determined. It is established that the quantitative expression of ecological and economic assessment of lands is influenced by such indicators as wood species, actual age of felling, potential stock of trees at the age of felling, monetary valuation of stands at the age of main felling, cost of growing stands before the main felling, type of forestry measures. Certain environmental, economic and social effects, which are closely linked, are able to complement and transform each other, so they need to be considered in interaction and interconnection. The need to improve the state of the environment requires an analytical assessment of the field of reproduction of forest resources, forestry, forest use and areas of processing of forest resources.

The proposed method of ecological and economic assessment of forest lands takes into account the properties of forest resources, rational structure of land areas, economic effect obtained per unit area of forest lands due to the use of forest lands, and takes into account the fact that land on which forest vegetation grows is operational. for the establishment and growth of forest plantations and the fact that the land together with the available forest vegetation and other natural resources is a single natural complex - the forest. Based on the obtained data on the state of use of forest lands, it becomes possible to develop and implement measures for the balanced use of forest resources.

It is established that the quantitative expression of ecological and economic assessment of the land plot is influenced by such indicators as the species of timber, the actual age of the felling, the potential tree stock of planting at the age of the felling, the

OLEH YAREMKO

PhD in Economics, Director
Ternopil Oblast Department of Forestry
and Hunting (Ternopil, Ukraine)
E-mail: OYaremko@i.ua
orcid.org 0000-0003-4619-0527

OLEKSANDR BOTSULA

PhD in Economics, Head of the
department of agroecology and biosafety
Institute of Agroecology and
Environment management of NAAS
(Kyiv, Ukraine)
E-mail: botsulaiap@ukr.net
orcid.org 0000-0001-7047-0102

monetary value of the stand at the age of the main felling, the cost of growing the stand up to the age of the main felling, the type of forest management.

According to the results of the ecological and economic evaluation at the economic level, it is established that according to the assessment of the area of the operational forests of SE «Mirgorod Forestry» occupies the first place, according to the assessment of the areas of protected forests the leaders are SE «Mirgorodsky Forestry», SE «Poltavaoblagrosy forestry», According to the assessment of the area of recreational forests – SE «Kremenchug forestry», SE «Poltava forestry», SE «Hadyatsky forestry », by the assessment of areas of forests of nature conservation, scientific, historical and cultural purpose – SE «Kremenchug forestry» Children’s Forestry Enterprise, State Enterprise «Novosanzharsky Forestry». It has been found out that land valuation according to one or another variant allows to substantiate the most optimal scenario of development of forestry activity in accordance with the chosen strategy.

Edited by:

February, 2021

Reviewed by:

March, 2021

***Key words:** ecological and economic assessment, land of forestry destination, natural resources, rent, economic effect, methodology.*

1. INTRODUCTION

One of the dominant tasks of the state policy in the field of nature management has been the development of forestry with increasing social, economic and environmental importance of forests [1, p. 9].

Today forest lands occupy an important place among the categories of lands of Ukraine and have a special legal regime. The grounds for the allocation of forest land to a separate category are the following features: germination on their territory of forest vegetation, forest management, including through the implementation of forest reproduction, improving their productivity, quality composition and conservation of biodiversity [2, p. 10].

But an important element is the implemented intensive forest management model, which is based on the principles of sustainable management and provides a sufficient level of reforestation. In this case, one of the main problems is to increase the efficiency of economic indicators without compromising the integrity of the forest and its environmental functions.

